პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

29 დეკემბერი
ხუთშაბათი

1918. გერმანიის მთავრობის კრიზისი. მთავრობიდან გადიან გააზე, დიტმანი და ბარი.

1917. დეკრეტი ყველა სამხედრო მოსამსახურეთა უფლებრივად გათანასწორების შესახებ. გაუქმებულია სამხედრო პირთათვის ყველა ხარისხები, წოდებები გარდა თანამდებობით კუთვნილისა) და გარეგნული ნიშნები.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა [illegible] უქმეებისა დილ[illegible]

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 1 ძსსერთო №

№ 249 ხუთშაბათი, 29 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 29 დეკემბერი, 1921 წ. № 249

თეზისები

აგიტატორებისათვის სასურსათო ორკვირეულის ჩასატარებლად

1. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა თანამედროვე ხანაში, თუ მას არ ექნება საჭირო სახსარი სახელმწიფოს შესანახავად (ჯარი, სასამართლო, განათლება, შინაგანი მმართველობა და სხვ.).

2. ეს სახსარი უნდა მისცეს სახელმწიფოს მოქალაქეებმა, რადგან სახელმწიფო ემსახურება მათ ინტერესებს. ამისათვის არსებობს გადასახადები.

3. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში გადასახადების მთელი სიმძიმე აწვება ღარიბ კლასებს. იქ კი, სადაც არსებობს მშრომელთა ბატონობა—საბჭოთა ხელისუფლება, გადასახადებს იხდის უმთავრესათ მცხოვრებლების შეძლებული ნაწილი მწარმოებლები, ვაჭრები, სპეკულიანტები, მდიდარი გლეხები), ღარიბი მასები კი, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში, გადასახადებს არ იხდიან.

4. გადასახადი შეიძლება იყოს ფულათ ან სურსათით. ამ ჟამად სასურსათო კრიზისთან, წარმოების ნაყოფიერების დაცემასთან და საბჭოთა სახელმწიფოების ფაქტიურ ბლოკადასთან დაკავშირებით,. გადასახადის უმთავრეს ფორმათ სოფელში შეიძლება იყოს მხოლოდ ნატურალური, ეგრედ წოდებული სასურსათო გადასახადი.

5. ჩვენი სამრეწველო ცენტრები ამ ჟამად განიცდიან პროდუქტების დიდ სიცოტავეს. მუშები თუ უზრუნველყოფილი არ იქნებიან სასოფლო მეურნეობის პროდუქტებით—მრეწველობის აღდგენა შეუძლებელია.

6. მწერლობის აღდგენაში და ფაბრიკა-ქარხნების ინტენსიურ მუშაობაში დაინტერესებულია უპირველესად ყოვლისა სასოფლო სამეურნეო წარმოება, იმიტომ, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარება და შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია იმ იარაღებზე, რომლებიც მზადდება ფაბრიკებსა და ქარხნებში. ამაში დაინტერესებულია აგრეთვე თითონ გლეხები, რომლებსაც სჭირდებათ და ვერ იცხოვრებენ თუ არ ექნათ მრეწველობის პროდუქტები (ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ნავთი, საპონი და სხვ.).

7. ნატურალური გადასახადი, რომელიც დააწესა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში, სავსებით შეეფარდება გლეხის არსებულ მეურნეობას. პროდუქტების რიცხვი, რომელიც უნდა მისცენ გლეხებმა სახელმწიფოს, გამოანგარიშებულია ისე, რომ თითონ მეურნეობას შეეძლოს თავისუფალი განვითარება და დარჩეს გლეხებს სურსათის ზედმეტი ნაწილი თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისათვის.

8. საბჭოთა საქართველოს მთელი ტერიტორია მოსავლიანობის მიხედვით დაყოფილია ცალკე მხარეებათ და გადასახადი განსაზღვრულია თითოეულ ნაწილისათვის მოსავლის კვალობაზე. იმ მხარეებს, რომლებსაც არ ყოფნით საკუთარი მოსავალი, არა თუ ახდევინებენ გადასახადს, არამედ საბჭოთა ხელისუფლება ამ ადგილებს აწოდებს პურს სხვა უფრო მოსავლიან ადგილებიდან.

9. საბჭოთა ხელისუფლება დაინტერესებულია იმაში, რომ გადასახადის სიმძიმე დააწვეს მხოლოდ შეძლებულებს, ამიტომ ნატურალური გადასახადი მით უფრო მეტია რამდენადაც უფრო დიდია, მდიდარია და შეძლებული გლეხის მეურნეობა. რამდენად ღარიბი და სუსტია გლეხის მეურნეობა, იმდენად ნაკლებია მისი გადასახადი.

საშუალოდ თითოეული გლეხის მეურნეობა იხდის სახელმწიფოსათვის სულ მხოლოდ 5 პროც., ე. ი. მოსავლის ერთ მეოც. ნაწილს. ეს გადასახადი დიდდება მდიდარი მეურნეობისათვის 12 პროცენტამდი, ასეთი გადასახადი უსათუოდ არ იქნება მეტად მძიმე.

10. მუშები, რომლებიც ფაბრიკებსა და ქარხნებში ამზადებენ გლეხისათვის საჭირო საგნებს, საჭიროებენ კვებას, მათ, ისე როგორც მთლიანად სახელმწიფოს აპარატს, არ შეუძლიათ იცადონ დიდხანს; ამიტომ საჭიროა სასურსათო გადასახადის სასწრაფოდ ჩაბარება.

სასურსათო გადასახადის ჩაბარების ყოველი შეჩერება შემაფერხებელია წარმოებისათვის სოფლისთვის საჭირო საგნების დამზადებაში ეს მთელი სახელმწიფო აპარატის მომარაგების დეზორგანიზაციაა. ამიტომ გადასახადის შეჩერებული და დაკლებული ჩაბარება ბოროტმოქმედებაა, მუშებისა და გლეხების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული და ვადაში გადაუხდელობისათვის წესდება დასჯა.

12. თავის დროზე და სრულიად შეტანილი სასურსათო გადასახადი კი ამტკიცებს მუშა-გლეხების ხელისუფლებას, ეხმარება მრეწველობის აღდგენას, უზრუნველყოფს გლეხს მისთვის საჭირო ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოები საგნებით და ამით აძლიერებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობას მის ბრძოლაში მშრომელთა ეკონომიურ კეთილდღეობისათვის და მათ განსათავისუფლებლად კაპიტალის ბატონობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცეკას აგიტ პროპ განყოფილება.

სასურსათო გადასახადი უნდა აიკრიბოს

სასურსათო გადასახადის ორკვირეული, რომელიც გამოცხადებულია ჩასატარებლათ, სრულიათ თანადროულია და მასთან დიდათ საყურადღებო იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც მიკუთვნებული აქვს ჩვენი სამეურნეო გეგმაში ამ გადასახადებს. და ამ დაბრკოლებათა გამო, რომლებიც ხელს უშლის მათ თავის დროზე სავსებით აკრებას და იწვევს ამისათვის სათანადო მუშაობის შენელებას.

აღდგენა ჩვენი მეურნეობის, ფეხზე წამოყენება მრეწველობის, განმტკიცება საბჭოთა რეჟიმის და დაცვა მისი, წარმოუდგენელია თუ ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა დარგში ჩაბმული მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არ იქნებიან პირველი მოთხოვნილების სასურსათო საგნებით—ეს ერთი და თუ მეორეს მხრივ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრიდან ვერ ამოვკაფავთ ნატურალური გადასახადის სახით ისეთ საგნებს, რომელიც მიემატება საზღვარ-გარეთ გასატანათ განძრახულ სავალიუტო საქონლის ფონდს იმ მიზნით, რომ გადაცვლის ნიადაგზე შემოვიტანოთ ისევ საჭირო სურსათი და სამეურნეო იარაღები. ეჭვს გარეშეა, რომ გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის ორგანო, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების „ვნეშტორგი“, ყოველ ღონეს ხმარობს და ენერგიულათ მუშაობას ეწევა იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რომლებსაც მას აძლევს ჯერ კიდევ საბოლოოთ არ მიღწეული რესპუბლიკათა საკავშირო გაერთიანების პირობები—ესე იგი უფრო სუსტათ ვინენ ეს მოსახერხებელი იქნება ახლო მომავალში ფედერატიული ურთიერთობის დამკვიდრების შემდეგ. ცხადია ისიც, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს რუსეთიდან პურის მიღების და შესაძლებლობის დაგვარათ ვსარგებლობთ კიდევაც ამ საშუალებით. მაგრამ აშკარაა რომ თუ ვერ მოხერხდა სავსებით შეკრება სურსათის იმ რაოდენობის, რომლის მიღება მინიმალურათ ნავარაუდევია სასურსათო გადასახადის სახით და ან შეფერხდება ამ გადასახადების თავის დროული მოქცევა სახელმწიფოს ხელში, ჩვენი სამეურნეო გეგმა დამარცხდება, დაწყებული მუშაობა შეფერხდება და ქვეყნის სამეურნეო აღორძინების საქმეც კვლავ საფრთხეში ჩავარდება. ასეთია ის აუცილებელი პერსპექტივები, რომელიც ჩვენ წინ ინიშნება და დამამუქრებელ სინამდვილეთ იქცევა, თუ სასურსათო გადასახადი დროზე და სავსებით არ შეიკრიბა, ამით უკვე მოცემულია გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა მომენტის: მთელი ჩვენი ძალით და ენერგიით, ჩვენი პარტიული და სახელმწიფოებრივი აპარატის განკარგულებაში მყოფ ყველა საშუალებით ხელის შეწყობა გამოცხადებული სასურსათო გადასახადის სავსებით და დაჩქარებით აკრებათ და სახელმწიფოს სათანადო ორგანოების ხელში მისი გადასასვლელათ.

ორი კვირეული სასურსათო გადასახადის—საგანგებო ზომაა დაკვრითი მუშაობის ჩასატარებლათ, რათა რევოლიუციონური მთავრობის დეკრეტი მხოლოთ ქაღალდზე არ დარჩეს, მან საბოლოოთ და სავსებით ხორცი შეისხას, რათა ჩვენი სამეურნეო გეგმა გატარებულ იქნას. ყველა ძალებით ჩვენ უნდა შევესიოთ სასურსათო გადასახადის ფრონტს და ამ კამპანიას მივსცეთ დროებით ჩვენი მუშაკები. გამოცხადებულმა ორკვირეულმა უნდა გამოაცოცხლოს მიძინებული ფრონტი და ხელი შეუწყოს სასურსათო გადასახადის აკრეფას. მთელი ჩვენი ენერგია ამ საქმეს და გამარჯვება მას!

ჩეკა და რევოლიუციური მართლმსაჯულება

ომის დროს ბუნებრივი მოვლენაა ულმობელობა და სისასტიკე. დიქტატურის ხანა დაუნდობელი სამოქალაქო ომის ხანაა: მშრომელთა ძალაუფლებას ვერ ურიგდება წინეთ გაბატონებული, მჩაგვრელი კლასი და გააფთრებით იერიში იგრიშზე მიაქვს პოლიტიკურათ და ეკონომიურათ გაბატონებულ ახალ კლასის პოზიციებზე. იერიში ხან აშკარა და ცხადია, ხან კი ფარული. აშკარა შეტევას იგერიებს მშრომელთა წითელი ჯარი, ფარულ კონტრრევოლიუციას კი ებრძვის მშრომელთა დიქტატურის დამცველი საგანგებო კომისია, ე. წ. ჩეკა ჩამოგდებული ბურჟუაზიის და მასთან ერთად მთელი მსოფლიო ბურჟუაზიის სიძულვილი ამ ორგანოსკენ არის მიმართული. „ოღონდ მოსპეთ ჩეკა და მორიგება ადვილია“—ასე მიმართავს საერთაშორისო რეაქცია საბჭოთა ხელისუფლებას. ესე იგი, მოსპეთ პროლეტარული დიქტატურის მთავარი დამცველი ორგანო, ესე იგი გზა მიეცით შინაურ კონტრ-რევოლიუციას თავისუფალი მოქმედების, აჯანყებების მზადების, საბჭოთა წყობილების შიგნიდან აფეთქების—აი რას მოითხოვს ჩვენგან ბურჟუაზია.

საბჭოთა რესპუბლიკები უპასუხებენ ასეთ მოთხოვნაზე ჩეკას აპარატის კიდევ უფრო გამაგრებით, მისი შემადგენლობის კიდევ უფრო გადიდებით.

სამაგიეროთ, ბურჟუაზია და მისი ლაქიები ნიშანში იღებენ მათთვის საშინელ ჩეკას და წარმოუდგენელი ცილისწამების, ყოვლად უნიადაგო მითქმა-მოთქმის და ჭორიკანობის საგნათ აქცევენ მას, რათა ხალხის ფართო მასსებს შეაძულონ ის დაწესებულება, რომელიც თავდადებით ებრძვის ხალხის მტრებს, კონტრ-რევოლიუციონერებს, სპეკულიანტებს, ბანდიტებს, მექრთამე და ბოროტ-მოქმედ მოხელეებს.

ბურჟუაზიას თუ ვათხოვეთ ყური—რაღა ჯოჯოხეთი და რაღა საგანგებო კომისიის ჯურღმულები! ყოველ ღამობით ათობით და ასობითაც ხვრეტავენ ვითომ იქ უდანაშაულო მოქალაქეებს! სულ ტყვილა უბრალოთ, მარტოოდენ სისხლის წყურვილის გამო სიცოცხლეს ასალმებენ იქ ყველას, ვინც კი ხელში ჩაუვარდებათ ჩეკას ტარტაროზებს! ასეთია მშრომელთა მტრების ფიცი და რწმუნება.

ჩეკა რო სასტიკათ სჯის ხალხის მტრებს, რომ მას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოაქვს ხალხის გაუსწორებელ და შეურიგებელ მტრებისთვის—ეს საიდუმლობა არ არის.

არც ისაა დასამალავი, რომ შემდეგშიაც ჩვენი ჩეკა ხუმრობათ არ ჩათვლის კონტრ-რევოლიუციონერების, ბანდიტების, აღვირაგდებულ სპეკულიანტების და ბოროტების ჩამდენ მოხელეების (მით უმეტეს თუ ამათ კომუნისტებათ მოაქვთ თავი) თარეშს, არ ჩათვლის და რევოლიუციონური ულმობლობით გაუსწორდება მათ.

მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, სათანადო სიფრთხილით ეკიდება ჩეკა თავის მძიმე უფლება-მოვალეობას, თუ ის წარამარა ხვრეტს ყველა აშკარა მტრებს და საეჭვო პირებს?

ჩვენს ხელშია ჩეკას მიერ სიკვდილით დასჯილთა სია. ათი თვის განმავლობაში (თებერვლიდან დღემდე) სიკვდილით დასჯილა სულ 144 (ას ორმოცდაოთხი) მოქალაქე. ამათში დიდი უმეტესობა ბანდიტები, მექრთამეები და გაუსწორებელი ქურდყაჩაღებია. რამოდენიმეთ პოლიტიკური სარჩული უდევს მხოლოთ 4 განაჩენს: ვინც მხეცურათ ციხიდან გამოიყვანა, აწამა, ტყვიით დაცხრილა, შემდეგ კი ბენზინი გადაასხა და დასწვა ჩვენი ამხანაგები პ. მარდალეიშვილი და თაბუკაშვილი, მისთვის საბჭოთა მთავრობას ამნისტია არ მიუნიჭებია; საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ჯერ კიდევ მარტში, მენშევიკური მთავრობის დელეგატებთან მოლაპარაკების დროს ქ. ქუთაისში, ოფიციალურათ განაცხადა, რომ ყოფილი მთავრობის ასეთ აგენტებზე ამნისტია არ გავრცელდება და მათთვის უმჯობესი იქნება, თუ სამუდამოთ მიატოვებენ საქართველოს; მენშევიკების წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს.

მაშასადამე, ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს იმ ბილწ ცილისწამებას და განზრახ ჭორიკანობას, რაიც რევოლიუციის დამცველ ორგანოს ირგვლივ ტრიალებს კონტრ-რევოლიუციონერთა წყალობით. ჩეკას მძიმე, მარა სამართლიანი ჯავშნიანი ხელი ედებოდა და კვლავაც დაედება მხოლოდ მშრომელთა მტრებს რა წამოსასხამშიაც არ უნდა გაეხვიონ ისინი ხალხის საწვალებლათ, მის ხელახლა დასამონავებლათ.

ჩვენი პრესა

ამიერ-კავკასიის პარტიული და საბჭოთა გაზეთების რედ. თათბირი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ დღეებში თბილისში, დიდ მნიშვნელოვანია იმ კითხვების გამო, რომლებიც შეიქნენ მისი მუშაობის. საგნათ და ჰპოვეს გადაწყვეტილება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ რეზოლიუციებში.

ჩვენი პრესა—ეს ერთი უძლიერეს იარაღთაგანია ჩვენი პოლიტიკური მუშაობისა და გავლენის. ხოლო ამ მნიშვნელოვან იარაღს სჭირდება მიზანშეწონილი გამოყენება. უმთავრესი ყოველ-დღიური კითხვები-სამეურნეო და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, რომლებიც წამოჭრილი არიან ჩვენ სინამდვილეში, ერთნაირია ყველა მეზობელ რესპუბლიკებში და ეს ითქმის კიდევ უფრო მეტი საფუძვლიანობით დღეს, როდესაც მზადდება საკავშირო გაერთიანება, ფედერაცია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების.

გაერთიანებული, მწყობრი გამოსვლა მთელ რიგ სამეურნეო და პოლიტიკურ კამპანიებში მრავალ ყოველდღიურ კითხვათაგან გარკვეული კატეგორიების გამოყოფა, მათი გაშუქება და დამუშავება საერთო ახლობელ და „შორეულ“ მიზნების თვალსაზრისით, ამით ჩვენი მუშურ-გლეხური საზოგადოებრივი აზრის ინტენსიური ამუშავება და სამოქმედო ენერგიის გარკვეულ წერტილებზე დარტყმა—აი რას უნდა ემსახურებოდნენ სხვა ჩვეულებრივ ყოველ დღიურ ფუნქციასთან ერთად ჩვენი პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა გაზეთები თითო რესპუბლიკაში ცალკე და საერთოთ ყველგან.

გაერთიანება თითო ქალაქში არსებულ პარტიულ და საბჭოთა გაზეთების პოლიტიკური ხელმძღვანელობის, გაერთიანება მათი სამეურნეო და ტეხნიკური მხარეების—აი საშუალება, რათა ჩვენმა ყოველ დღიურმა პრესამ მიაღწიოს იმის მაქსიმუმს თავის მუშაობაში, რაც საჭიროა, რომ მან სავსებით შეასრულოს თავისი დიდი დანიშნულება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თათბირი ამიერ-კავკასიის გაზეთების პასუხისმგებელი ხელმძღვანელების და ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც გამოიტანა მან მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, ხელს შეუწყობს ჩვენ პრესას თავის მოვალეობის სავსებით შესრულებაში და მისი მდგომარეობის საბოლოოთ განმტკიცებაში.

„მიწის მუშა“

გამოვიდა პირველი № სასოფლო გაზეთის „მიწის მუშა“.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად დაყენებულ პოპულიარულ ლიტერატურას და პერიოდულ გამოცემებს, რომლებმაც გზა უნდა გაუკვლიონ ჩვენი პარტიის აზრს სოფლის ჩამორჩენილ მკითხველთა მასისკენ, გააშუქონ მისი გადაწვეტილებანი, ახსნან-განუმარტონ საბჭოთა მთავრობის ნაბიჯები, სწორათ მიუდგნენ ჩვენი სოფლის უამრავ საჭირბოროტო კითხვების გარკვევას, მის მრავალმხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. სოფლის წინაშე წამოჭრილია მთელი რიგი კითხვების, რომლებიც მას აინტერესებს სპეციალურათ: სასოფლო მეურნეობის განვითარების, მიწათ მფლობელობის და მოქმედების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მრავალმხრივი მოღვაწეობის, სხვადასხვა შავბნელი ძალების მუშაობის, იმ ძალების, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის მივარდნილ კუთხეებში გაუჩენიათ აქა-იქ თავსაფარი ბუნაგები და იქიდან ენაგალესილი ანთხევენ გესლსა და პროვოკატორულ ინსინუაციებს არსებულ რეჟიმის და მის მატარებელთა წინააღმდეგ. გარდა ამისა კითხვები მეზობელ ძმურ რესპუბლიკების ცხოვრებიდან და საერთაშორისო, რომლებიც აინტერესებს ჩვენ ქვეყანას და, რასაკვირველია, ჩვენ სოფელსაც. ყოველივე ეს კარგად აქვს გათვალისწინებული „მიწის მუშას“. მის სარედაქციო წერილში ჩვენ ვკითხულობთ სხვათა შორის: „ჩვენ ვეცდებით შეძლებისდა გვარად გავუშუქოთ მიწის მუშას სწორი გზა: მივაწოდოთ მას საჭირო და სასარგებლო ცოდნა სასოფლო მეურნეობის გამოსაბრუნებლათ და საზოგადოთ მისი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლათ.

მიწის მუშასთან ერთათ ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო მისი ცხოვრების მკვიდრი კეთილდღეობის საფუძვლის გასკვნა, როცა მუშისა და გლეხის ხელში მყოფი საბჭოთა ხელისუფლება მძლავრათ გაიდგამს ფესვებს ხალხის გულში...

ყოველდღიურ საქმიანობასთან შეკავშირებულ კითხვების გარდა ჩვენ ვეცდებით გადავუშალოთ მას მთელი ქვეყნის ზურგზე ამოტეხილი ბრძოლის სურათი, გავაცნოთ და დავანახვოთ მისი მტერი და მოყვარე...“

ასე ესმის გაზეთს თავისი დანიშნულება. ცხადია, რომ დასახული მიზნის მიღწევას, მიწის მუშის მესაიდუმლოებას, გაზეთი მოახერხებს მხოლოდ ჩვენი სოფლის იმ მასების აქტიური დახმარებით და ხელის შეწყობით, რომლებისთვისაც განძრახულია ის. ამიტომ გაზეთის ყოველ მხრივი დახმარება ცნობების მიწოდებით, გავრცელებით—მათი მოვალეობაა. გაზეთი იმდენათ შესძლებს მიწის მუშის სამსახურს, რამდენადაც ის სწორათ ჩაიხედავს მის ყოველდღიურ ჭირვარამში და იპოვის მეორე მხრივ მასში ცოცხალ გამოხმაურებასა და დახმარებას.

ჩვენ ვუსურვებთ ახალ თანამოძმეს ნაყოფიერ მუშაობას.

„სმა-ჭამა კარგათ შესარგი...“

საქართველოდან გაქცევისას ნ. ჟორდანიას მთავრობამ გაანადგურა რკინის გზები, ააფეთქა ხიდები, გაცარცვა საქართველო. რამდენიმე გემი დაიტვირთა ფოთსა და ბათომში საქართველოს მუშების და გლეხების კუთვნილი სიმდიდრით: ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტ-მარგალიტის თვლები, პურის ფქვილი, შაქარი, ხალიჩა-ნოხები, სამკურნალო წამლები და სხვა ათასნაირი მოსახმარი და ძვირფასი საგნები სტამბოლისაკენ გაუყენეს გზას.

არ დაივიწყეს ეკლესია-მონასტრების ოქროს ხატებიც, თამარ მეფის ძვირფასი თვლებით მოპნეული ქოშებიც.

მათი მსუნაგობა იქამდის მივიდა, რომ ორმოცი ათასი ცარიელი ტომარაც კი გააპარეს, რათა საბჭოთა მთავრობას დროზე ვერ შემოეტანა საქართველოს მშრომლების გამოსაკვებათ პური რუსეთიდან, სადაც პური იშოვებოდა მაშინ, ხოლო ტომრის მასალა ნაკლები იყო.

ჟორდანიას მთავრობას გაჰყვა თან მრავალი მენშევიკი, მრავალი გენერალ-ოფიცერი, მემათრახე მილიციის კომისრები და ჟანდარმები.

და აი, თითეულ ამათგანს თვეში ეძლევათ ორას-ორასი ოსმალური ლირა. ჩვენი ფულით რომ ვიანგარიშოთ **ერთი ლირა დაახლოვებით უდრის ას ორმოცდაათი ათასს (150.000 მანეთს მაშასადამე, თითო გაქცეულ მენშევიკს თვეში ეძლევა არა ნაკლებ ოცდაათი მილიონი (30.000.000) მანეთისა!**

საბჭოთა საქართველოში მუშურ-გლეხური მთავრობის წევრს, ფილიპე მახარაძეს, ბუდუ მდივანს თუ სხვა იქნება ის, რომელიც დღე და ღამ მუშაობს მშრომელი ხალხის გაჭირვებული ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, თვეში აქვს ჯამაგირი **სულ დიდი ასოთხმოცი ათასი მანეთი (180.000).** საქართველოდან გაქცეულ მენშევიკს კი თვიურათ ოცდაათი მილიონი მანეთი!

და ეს მხოლოდ ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ.

რაც შეეხება ერთი სახელმწიფოდან მეორეში მოგზაურობას კრიალა ვაგონით და ავტომობილებით, და იქ საბჭოთა საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციის გაწევას, ევროპის მდიდრების ჯარის წასისიანებას საქართველოს მუშებზე და გლეხებზე, საამისო ხარჯები ცალკე ეცემა.

მადა მენშევიკებს საქართველოშიც კარგი ჰქონდათ, კიდეც შეექცეოდენ. სამი წელიწადი ფლანგეს და კვრიხეს რუსეთის აქ დაგროვილი მრავლის უმრავლესი სიმდიდრე.

რაც დარჩა, საზღვარ-გარეთ გააპარეს და ცხრა თვის განმავლობაში დიდკაცურად შეექცევიან, თან ქვეყნიერებას აყრუებენ ცრუ ფიცით: საქართველოს მუშებისა და გლეხებისთვის ვართ თავდადებულნიო.

ზიზღი მათ, მშრომელი ხალხის გამყიდველებს, მის გამცარცველებს და შემაგინებელთ!

„მიწის მუშა“.

ძმური დახმარება

რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოგზავნა კავბიუროს სახელზე სამი ვაგონი ტანსაცმელი საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის პარტიულ ორგანიზაციების შორის გასანაწილებლად.

ვაგონები უკვე მოვიდენ.

რ. კ. პ. ც. კ. საქმეთა მმართველი 9 დეკემბრის დეპეშით ატყობინებს საქართველოს კომპარტიის ცეკას როსტოვიდან 1230 (230?) რწყ. მამაკაცის ფეხსაცმელების გამოგზავნის შესახებ პარტიულ მუშაკებისათვის.

ამნაირად ის მწვავე და საშინელი საჭიროება, რომელსაც განიცდიან ადგილებზე ტიტველი და შიშველი პარტიული მუშაკები, რამოდენიმედ მაინც შენელდება რუსეთის ამხანაგების ამ ძმური დახმარების შემდეგ.

რუსეთ-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულება

28 დეკემბერს იტალიის წარმომადგენლობამ საქართველოში მიიღო რომიდან ოფიციალური შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„გუშინ საღამოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს იტალიის, რუსეთის და უკრაინის შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას. რუსეთ-უკრაინის წარმომადგენელი ვოროვსკი გაემგზავრა დღეს საღამოს პირდაპირ მოსკოვში მთავრობისათვის მოხსენებების გასაკეთებლად“.

რუსეთის საბჭოთა მე-9-რე ყრილობა

ამხ. ბოგდანოვის მოხსენება მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

მოსკოვი 27 დეკემბერი (რადიო. (დასაწყისი არ მიგვიღია), ტრესტი „იუგოსტალი“-ს დაარსებამდე მუშაობდა ერთი ღუმელი, ახლა მუშაობს 2. 1922 წლის განმავლობაში უნდა ამუშავდეს 10 ღუმელი. 1920 წელში ამოღებულია 9, 5 მილ. ფუთი მადანი, 1921 წ.—13, 5 მილ. ფუთი, მარილის მრეწველობას ემჩნევა დიდი წარმატება. 1920 წ. ამოღებულია 65 მილ. ფუთი მარილი, წინანდელ წელში ამოღებულ 37 მილიონ ფუთის წინააღმდეგ. პროგრამა შესრულებულია 100 პროცენტით სასოფლო-სამეურნეო მანქანათა აღმშენებლობაში 1922 წ. ჩვენ განზრახული გვაქვს ავიყვანოთ სასოფლო მეურნეობის სამანქანო იარაღების წარმოება ამის წინანდელი დროის 17 პროცენტამდე. საფეიქრო მრეწველობა გამოცოცხლების გზაზეა, როგორც მაგალითი შეიძლება დავასახელოთ კოსტრომის ქსელის საქსოვი ფაბრიკები, რომლებმაც ნოემბერში გამოუშვეს 1 მილ. არშინი ქსოვილი ჩვეულებრივი 270.000 არშინის მაგივრად. ერთერთი ნიშანი მრეწველობის გაჯანსაღებისა—ესაა გასეირნების შემცირება. მიმდინარე წლის ზაფხულის თვეებში გასეირნების რაოდენობამ მიაღწია 59 პროცენტს; სექტემბრიდან დაწყებული გასეირნება შემცირდა 10-15 პროცენტით. 1.700.000 მუშის მაგიერ, რომელნიც იყვნენ მომარაგებაზე მიმდინარე წლის მარტში, რჩება 1.050.000 მუშა. მძიმე სახელმწიფო მომარაგებაზე რჩებიან უმთავრესად სათბობის და მძიმე ინდუსტრიის წარმოებანი, რომელნიც ემსახურებიან სახელმწიფოს მოთხოვნილებებს.

1922 წლის საწარმოო პროგრამის თანახმად, ჩვენი მრეწველობის პროდუქცია ფასდება 900 მილ. ომის წინანდელ ოქროს მანეთად—დაახლოვებით ერთი მეოთხედი წლიურ დამზადებისა ომიანობამდე. მომხსენებელი ათავებს აღნიშვნით, რომ საჭიროა მოისპოს დავა ადგილებსა და ცენტრ შორის. „ჩვენი ორგანიზაცია, ამბობს იგი, უნდა იყოს მტკიცე და მთლიანი“.

არმია და მსხვილი მრეწველობა—უწინარეს ყოვლისა.

ამხ. სმილგა ამხ. ბოგდანოვის მოხსენების გამო ამბობს, რომ ყრილობამ თავის რეზოლიუციაში პირდაპირ და გარკვეულად უნდა თქვას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურსათ-სანოვაგის არსებული რესურსები გადადებულ იქნეს პირველ ყოვლისა წითელ არმიისათვის.

დანარჩენი მოხმარდეს ტრანსპორტს და ლითონის მრეწველობას.

იჯარა.

საბოლოო სიტყვებში ამხ. ბოგდანოვი ამბობს, რომ 1 დეკემბრამდე გაცემულია იჯარით დაახლოვებით 5.000 წარმოება, რომელთაგან ნახევარი ერობის წისქვილებია. ჩვენ იჯარით ვაძლევთ უმთავრესად წვრილ წარმოებებს, იშვიათად საშუალოს სრულიად არ ვაძლევთ მსხვილ წარმოებებს; აქამდე არც ერთი მსხვილი წარმოება არ გაგვიცია.

ამხ. ოსინსკის მოხსენება სასოფლო-მეურნეობის შესახებ.

ყურადღება სასოფლო-მეურნეობის ფრონტს.

„ჩვენ უნდა გადავჭრათ. იწყებს ამხ. ოსინსკი, საკითხი, თუ როგორ ავიცილოთ კატასტროფა სასოფლო-მეურნეობის დარგში, რომელიც უკვე მოახლოვებულია. თუ სასოფლო მეურნეობა ინგრევა, არ შეგვიძლია იმედი გვქონდეს მრეწველობის განვითარებისა. სასოფლო მეურნეობა მოითხოვს გმირულ ღონისძიებებს. ამ წელში საგაზაფხულო პურები დაითესა 27 პროც. მეტი შარშანდელზე. ზამთრის ნეკერჩხალი, დათესილი 1921 წ. შემოდგომაზე, შემცირდა ერთი-მეოთხედი პროც. 1920 წ. შედარებით მაგრამ ამის დასათესად გმირული ღონისძიებები იყო მიღებული არა მარტო საბჭოთა მუშაკების, არამედ გლეხობის მხრითაც. (გამოტოვებულია)... მიწით სარგებლობის მხოლოდ ამ ფორმას უნდა გაეწიოს სრული დახმარება. რა თქმა უნდა, არავითარ იძულებას გლეხობისას მიწით სარგებლობის ამ ფორმის სასარგებლოთ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საჭიროა მიეცეს გლეხობას სარგებლობის გარანტია. გასაგებია, რომ მიწით სარგებლობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს მიწის მფლობელობად: მიწების არც შესყიდვა, არც გაყიდვა არ უნდა ხდებოდეს.

დახმარება სასოფლო-მეურნეობას ფულით.

ხანგრძლივი კრედიტის სპეციალურმა სახელმწიფო ბანკმა უნდა აღმოუჩინოს ფულით დახმარება პირველ ყოვლისა ღარიბ გლეხების მეურნეობებს, ხოლო შემდეგ გაიღოს სესხი სასოფლო-სამეურნეო მელიორაციისათვის. სოფლად ეხლა ბევრია წითელ არმიელი, ყოფილი სამხედრო ტყვე: მათ განადგურება მოელით. მათ პირველ ყოვლისა უნდა აღმოეჩინოს მძლავრი სახელმწიფოებრივი დახმარება, მათ წრეში უნდა ვეძიოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მომხრეები.

სასოფლო მეურნეობის ამაღორძინებელ ზომათა შორის ამხ. ოსინსკი აღნიშნავს უცხოელ კაპიტალის მოზიდვას, საცდელი საქმის განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო განათლებას, ქვეყნის შიგნით სასოფლო მეურნეობის მანქანების და იარაღების წარმოების განვითარებას, ხელოვნურ განოყიერებას, ზოგიერთ ნატურ გადასახადის და ბეგარის გადასინჯვას და სხ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ფართოდ უნდა განვავითაროთ და გადავაქციოთ იგი სავსებით საბჭოთა კოოპერაციად. საჭიროა ფართე ქსელი მშრომელ ელემენტის სასოფლო იაჩეიკებისა, საჭიროა კურსები, საჭიროა ინსტრუქტორები. ეს ამოცანა უნდა გადავჭრათ სასწრაფო წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერაციას „კულაკები" დაეუფლებიან.

სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ ამხ. ოსინსკი აღნიშნავს, რომ მისი გეგმა შეიცავს სათესი კამპანიას ამ სიტყვის ვიწრო აზრით, გვალვის ამტან პურეულის—სიმინდის, შვრიასი და სხ.,—დათესვის მასიურ პროპაგანდას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მომხსენებელი ანიჭებს თესლის მოშენების განვითარებას. უნდა შევქმნათ თავისებური კადრის (გამოტოვებულია, მიწის მოწყობისათვის თვით გლეხების მომზადებით სპეციალურ კურსებზე.

მხოლოდ სასოფლო-მეურნეობის საფუძველზე,—ათავებს ამხ. ოსინსკი,—აყვავდება სოციალისტური რესპუბლიკა.

ვოლგის მხარე არ უნდა დაიღუპოს.

თანამომხსენებელი ამხ. ტულიაკოვი აღნიშნავს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის სათესი სივრცე საგრძნობლად შემცირდა. 1922 წ. საგაზაფხულო ნათესი შემცირდა 40 პროცენტით 1916 წ. შედარებით. საქონლის მოშენების სფეროში თვალწინაა აშკარა კატასტროფის ნიშნები.

„ჩვენ მზადა ვართ.

შემდეგ გამოსული ორატორი ამხ. ბუდიონნი აცხადებს: „ამბობენ, რომ მოგველის განსაცდელი. რომ შეიძლება მტერი დაგვესხას. მე უცხადებ ყრილობას, რომ ჩვენ მზადა ვართ თავდასაცველად. ჩვენი პირველი ცხენოსანი არმია ყოველთვის გამოდიპირვს ელი მოწოდებიდან 24 საათის განმავლობაში".

რუსეთის მიწა-წყლის ბატონ-პატრონი.

ვლადიმირის გუბ. გლეხი ჩეხუნოვი ამბობს, რომ მოწინავე გლეხობას, ცხადად აქვს შეგნებული მიწათ სარგებლობის ახალ, სამეცნიერო ფორმებზე გადასვლის აუცილებლობა. ძველი მიწად მოქმედებამ დრო მოსჭამა. მას ცვლის ახალი მიწით სარგებლობა. „მე უკვე მოხუცებული ვარ,—განაგრძობს ჩეკუნოვი,—მაგრამ რაღაც დაუძლეველმა ძალამ აიძულა მოვსულიყავი ცენტრში და მელაპარაკა ჩვენი, გლეხთა საჭიროებებზე, აი უკვე 2 თვეა, რაც მე ვცხოვრობ მოსკოვში და ყოველდღე ვწერ გაზ. „ბედნოტა"-ში.

მოსკოვის გლეხმა გოლოვინმა, პრეზიდიუმის წევრმა, სთქვა: „მე 60 წლისა ვარ, ჩემ დროს სამი მეფე გამოიცვალა: განმათავისუფლებელი, მშვიდობის—მოყვარე და ღვინით მოვაჭრე. შეიძლება მკითხონ: რისთვის შეურაცყოფ ასე მირონცხებულს? მე უპასუხებ: მე მაშინ ვიყავი უნუგეშო და უვიცი, ეხლა შეხედეთ სად ვზივარ". ამხ. გოლოვკინი მიუთითებს პრეზიდიუმზე, რომლის შემადგენლობაში ის არჩეულია ყრილობის მიერ (დასასრული არ მიგვიღია).

კაპიტალიზმის სამეფოებში

ლონდონის თათბირი.

ერთად ერთი რეალური შედეგი.

ნაუენი, 23 დეკემბერი (რადიო). ლონდონის პრესსა აღნიშნავს: „ლონდონის თათბირის ერთად ერთი რეალური შედეგი ჯერ ჯერობით გამოიხატება იმაში, რომ აიძულონ გერმანია გადიხადოს იანვრისა და თებერვლის კონტრიბუციის ნაწილი, 500 მილიონი მარკა ოქროთი იანვარში და 285 მილ.—თებერვალში. ამ დადგენილების პირობები და დეტალები ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

შედეგები არაა დამაკმაყოფილებელი.

ბორდო, 22 დეკემბერი (რადიო). ბრიანი გამოემგზავრა ლონდონიდან 22 დეკემბერს. „პტი პარიზიენის" ცნობით, თათბირის შედეგები არ შეიძლება ჩაითვალოს ნაყოფიერად, საზოგადოება აშკარად უკმაყოფილოა. პარიზის პრესსა აღნიშნავს, რომ ლონდონის თათბირს კავშირი ჰქონდა იმ გარემოებასთან, თუ როგორ მოახერხებს ვაშინგტონის კონფერენცია პოლიტიკურ ეკონომიურ ხასიათის საერთო დაბრკოლებათა ძლევას და თავიდან აცილებას. ლლოიდ ჯორჯი ეტყობა მომხრეა ამ შეთანხმებისა და მზადაა შეუდგეს სასწრაფო და საბოლოო გადასინჯვას საკონტრიბუციო საკითხებისას იმ სახით, რომ დაუტოვოს საფრანგეთს ბრიანის მიერ მოთხოვნილი კონტრიბუციის ნაწილი და ხელი აიღოს ლონდონის ხვედრ ნაწილზე. მოლაპარაკების დროებითი შეწყვეტა მოასწავებს, რომ ორთავე პრემიერი ეტყობა დარწმუნდნენ, რომ დღევანდელ საქმის მდგომარეობაში, შეთანხმების მიღწევა. შესაძლოა მხოლოდ პრინციპიალურ მხრივ. ლლოიდ ჯორჯი უფრო შორს მიდის და ევროპის ეკონომიურ მდგომარეობის შესამსუბუქებლად, სასურველადა სცნობს მოკავშირეთა ვალების გაუქმებას, იმ პირობით, თუ ამერიკა თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ამ გეგმის განხორციელებაში. ყოველ შემთხვევაში ლლოიდ ჯორჯი და პოლიტიკური წრეები ლონდონ-პარიზისა, ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ცენტრალურ ევროპის და რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს დიდ სერიოზულ სჯა-განხილვას. „პტი პარიზიენი"-ს აზრით თვით ფაქტი მოლაპარაკების გაგრძელების იანვარში და უმაღლეს საბჭოს სასწრაფო მოწვევა, მაჩვენებელია, რომ მოლაპარაკების კეთილად წარმართვის იმედი არ დაუკარგავთ და ევროპის აღდგენის გეგმას მტკიცე ნიადაგი აქვს.

ახალი თათბირი კანნაში.

ლონდონი. 23 დეკემბერი, (რადიო). მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელნი 4 იანვარს შეხვდებიან კანნაში, სადაც განხილულ იქნება გერმანიის ვალების საკითხი მათი რაოდენობა და მის საშველად ღონის ძიებათა მიღება. ამ თათბირმა უნდა გამოარკვიოს ვადა ევროპის კონფერენციის მოწვევისა, რომელშიაც რუსეთმა და გერმანიამ უნდა მიიღონ მონაწილეობა. „დეილ ქრონიკლი ამბობს: „ბრიტანიის მთავრობა, ევროპის თანასწორობისათვის საჭირო 2 უმთავრეს მუხლის დაცვას მოითხოვს: 1) ინგლის-საფრანგეთ შორის მჭიდრო და მტკიცე კავშირს, რაიც ამ ჟამად არ არსებობს მათ შორის და 2) კონფერენციისაგან ევროპისთვის ისეთსავე დადებით ნაყოფს, რომელსაც მიაღწია ვაშინგტონის კონფერენციამ წყნარ ოკეანეს მიმართ.

გრანდიოზული პროექტი.

რომი. 23 დეკემბერი. (რადიო) ინგლისის ოფიციალურ ცნობით ლოიდ ჯორჯსა და ბრიანის თათბირის შესახებ აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება შეეხებოდა გერმანიის მიერ ვალის გადახდას განსაზღვრულ დროის განმავლობაში და იმ ზომების, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ეკონომიურ პოლიტიკურ მდგომარეობის საერთო პირობების გასაუმჯობესებლად ევროპაში. დაჟინებით ამბობენ, რომ ლლოიდ ჯორჯმა წაუყენა ბრიანს გრანდიოზული პროექტი ევროპის აღსადგენად, საერთო თავდებობის დაწესებით, ურთ-ერთი ვალების მოსპობით, რუსეთსა და გერმანიასთან კავშირის დაჭერით.

საყვირის ხმაზე

აღმოსავლეთი ჰა, ინთება საყვირის ხმაზე,
იქ, მთის ორწოხში ზეიმს იხდის თვალ დავსებული,
ახალ ცხოვრების ცხოველ-მყოფელ ჰანგების თქმაზე,
სიკვდილს კითხულობს ძველი ყოფნა დახავსებული.

გუგუნებს ზეცა, თან მხედრდება ხალხი ხმელეთზე,
მითვლემილ არეს მძლე ქუხილით ძილს გამოაცლის,
მურისძიება ფრთებს ჰა, ისხამს დამპალ ბნელეთზე,
და მომაკვდავსა ცეცხლის ჟინით სიკვდილს არ აცლის.

თან თბება გული განაცივი ცეცხლის კოცონზე,
ჩვენი ძლიერი სულის ღელვა ზღვარეთს აქაფებს;
საბედისწერო გემი გაჰყავს უშიშრად ფონზე,
და წრფელ გრძნობით სწვავს ძველი ქვეყნის არტახის ძაფებს...

აღმოსავლეთი ჰა, ინთება საყვირის ხმაზე,
იქ, მთის ორწოხში ზეიმს იხდის თვალ დავსებული,
ახალ ცხოვრების ცხოველ-მყოფელ ჰანგების თქმაზე,
სიკვდილს კითხულობს ძველი ყოფნა დახავსებული!..

იონა ვაკელი.

ქრონიკა

✦ **ქალ. თბილისის გასავალი.** დაახლოვებითი გამოანგარიშებით ქალაქის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ყოველდღიურად საჭიროა 4 მლ. მანეთამდე.

✦ **ჟურნალისტების კრება.** პარასკევს, 30 დეკემბერს, საღ. 5 საათ. გაზ. „პრავდა გრუზიას" რედაქციაში შესდგება თბილისის ყველა პარტიულ—საბჭოთა და პროფესიულ გაზეთების და აგრეთვე კავბიუროს და საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლების კრება. დღის წესრიგი: 1) ამიერ-კავკასიის პარტიულ და საბჭოთა გაზეთების რედაქტორების ყრილობის შედეგები, 2) საქართველოს დეპეშათა სააგენტოს არსებობის შესახებ და 3) ჟურნალისტების ტარიფი. რადგანაც საკითხები მნიშვნელოვანია და, საჭიროა მათი ყოველმხრივი გაშუქება—ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

✦ **განათლების მუშაკთა რაიონული კრებები.** სახალხო განათლების მოსამსახურეთა საერთო კრება დანიშნულია 29 დეკემბერს დღის 1 საათზე განათლების სახალხო კომისარიატის შენობაში. 1, 2, 3, 4 რაიონისა და საბურთალოს კომისარიატების მოსამსახურეთა კრება—პროფსაბჭოს დიდ დარბაზში 30 დეკემბერს საღამოს 6 საათზე. 5, 6, 7 და 8 კომისარიატებს—ავლაბრის თეატრში 29 დეკემბერს დღის 4 საათზე. 9, 10, 11 და 12 კომისარიატების—სახალხო სახლში 30 დეკემბერს, დღის 3 საათზე. დღის წესრიგი: 1) ყრილობის შესახებ, და 2) დელეგატების არჩევნები.

შეცდომის გასწორება

„კომუნისტის" № 247 „პატარა ფელეტონში" „მენშევიკური ჰიმნი" დაშვებულია კორექტურული შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს. მოთავსებულია: „ერთის წინ წადგმით, ორის დახედვით"; უნდა იყოს: „ერთის წინ წადგმით, ორის დახევით".

ამიერ-კავკასიის პარტიულ და საბჭოთა გაზეთების რედაქტორების თათბირი

ორშაბათს 26 დეკემბერს საქართველოს რევკომის შენობაში (სასახლე) რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს მდივნის ამხ. ნაზარეტიანის თავმჯდომარეობით შესდგა ამიერკავკასიის პარტიულ და საბჭოთა გაზეთების რედაქტორების თათბირი.

დაესწრნენ შემდეგი გაზეთების წარმომადგენლები:

აზერბეიჯანი: „ბაქოს მუშა" (რუს. გაზ.), „კომუნისტი" თურქული და „კომუნისტი" (სომხურ ენაზე).

სომხეთი: „საბჭოთა სომხეთი" (ერევნის გაზეთი სომხურ ენაზე), „კარმირ შირაქი" (ალექსანდროპოლის გაზეთი სომხურ ენაზე).

საქართველო: „პრავდა გრუზია" (რუსულ ენაზე), „კომუნისტი" (ქართულ ენაზე) და „კარმირ ასტღ" (სომხურ ენაზე)—საქართველოს კომპარტიის ცეკას ორგანოები (თბილისში). ბათომის: „იზვესტია" (რუსულ ენაზე), „იშტრაი" (თათრულ ენაზე). ქუთაისის: „მუშა და გლეხი" (ქარ-

კიდევ ფედერაციაზე

ამიერ-კავკასიის ფედერაციის დროშა

(იხ. „კომუნისტი" 222, 224 და 225)

ახლა ჩვენ გვჭირდება ავწონ-დავწონოთ, გამოვარკვიოთ ადგილობრივი პირობები და ვითარება და ამის თანახმათ გადავჭრათ ფედერაციის ცხოვრებაში გატარების ფორმალური მხარე.

კითხვა რომ კონკრეტიულათ გადაწყდეს, ამისთვის, ცხადია, მისი პრინციპიალურათ დაყენება და გადაჭრა არ კმარა, საჭიროა რეალური დეტალების გათვალისწინება და ანგარიშის გაწევა ყველა იმ განსაკუთრებული პირობებისა და ვითარებისა, რასაც აღნიშნული ეროვნული რესპუბლიკები განიცდიან. ამიტომ იყო, რომ ლენინმა თავისებური წინადახედულობით განსჭვრიტა ეს გარემოება და ამიერ-კავკასიის კომუნისტებს თავის დროზე შემოუთვალა: „რუსეთის შაბლონს ერიდეთ", პოლიტიკა ადგილობრივი პირობებისა და ვითარების თანახმათ აწარმოვეთო.

რა განსაკუთრებული გარემოება და ვითარებაა, რომ ჩვენ განსაკუთრებული პოლიტიკის წარმოებას გვაიძულებს?

პირველი, ეს ის გარემოებაა, რომ კომუნისტური პარტიის განვითარების ისტორია, მთავარ მოწინააღმდეგე პარტიასთან საქართველოში და საერთოთ მთელ ამიერ-კავკასიაში მასსებთან დამოკიდებულება, მისი ამ მასსებზე გავლენა მეტათ სხვაფერი იყო, ვიდრე რუსეთში: **მეორე**—რომ კერძოთ საქართველოში კომუნისტური პარტია „კურსის" შეცვლის, ისტორიული მიქცევის მომენტში გახდა მმართველი პარტია და **მესამე**—რომ ბალშევიკების, კომუნისტური პარტიის გამარჯვება საქართველოში მოხდა არა მხოლოთ შინაგანი, საქართველოს ძალების—მუშების და გლეხების—აქტიური და პირდაპირი გამოსვლის ძალით, არამედ გარეშე შეიარაღებული ძალის, რუსეთის წითელი არმიის ენერგიულ დახმარებით.

აი ეს სამი განსაკუთრებული გარემოება გვავალებს ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, კარგათ ჩაუკვირდეთ ფედერაციის საკითხს და ისე გადავჭრათ პრაქტიკაში ის.

გარემოება პირველი. **რუსეთში** კომუნისტების წინაპრები იყვენ სოციალ-დემოკრატები, ხოლო ეს უკანასკნელები „ნაროდნიკების" წრიდან გამოვიდენ. **ჩვენში** კი ჩვენს „მესამე დასელებს", ე. ი. ჩვენებურ მარქსისტებს არავითარი საკუთარი წინაპრები არა ჰყოლიათ, არავითარი ადგილობრივი წრიდან ისინი არ გამოსულან.

რუსეთში მუშათა მოძრაობას წინ უძღოდა რამდენიმე თაობის ინტელიგენტური წრეების რევოლიუციური მოძრაობა—„დეკაბრისტების" და „ნაროდოვოლცების"—და აქედან იქ შეიქმნა უკვე რევოლიუციური მოძრაობის ტრადიცია.

ჩვენში კი ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. რევოლიუციური მოძრაობის ტრადიცია შექმნეს დამოუკიდებლათ ქართველმა სოციალისტებმა და რევოლიუციონერმა მუშებმა, საერთოთ „მესამე დასელებმა". ერთი სიტყვით **რუსეთში** მუშათა მოძრაობის დასაწყისისას უკვე იყო საკმაოთ დანმტკიცებული რევოლიუციური ტრადიცია, ხოლო **ჩვენში** კი ამავე ხანებში **განმტკიცებული იყო მხოლოთ ეროვნული მოძრაობის ტრადიცია** და ისიც არა რევოლიუციური, არამედ ოპპორტიუნისტული.

რუსეთში მეორე საუკუნის დასაწყისში, ფინანსიური კაპიტალის ბატონობის ხანაში უკვე შედგა რამდენიმე მილიონიანი რევოლიუციური სამრეწველო პროლეტარიატი და მუშათა მასიური მოძრაობაში—გაფიცვებში—უკვე რამდენიმე ასი ათასი მუშა იღებდა მონაწილეობას. ჩვენში კი ამ დროებაში „მესამე დასის" მეცადინეობით ნახევარ-პროლეტარი მუშები ახლათ იწყებდნენ ამოძრავებას და მათი მასიური ძალა ორ სამ ათასს არ აღემატებოდა.

რუსეთში მიწის საერთო მფლობელობას, თემობას (**ობშჩინას**) საკმაოთ დიდი ადგილი ეჭირა, რის გამოც გლეხ-კაცობა საერთოთ მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგ იყო განწყობილი და მიწის განსაზოგადოებრიობას უჭერდა მხარს.

ჩვენში კი პირიქით მიწის წვრილი მესაკუთრეობა იყო განმტკიცებული და საერთო მფლობელობის ტრადიცია სულ ერთიანათ მიმქრალი.

აი ყველა აქ ჩამოთვლილმა განსხვავებამ შექმნა ის განსხვავებული პირობები რუსეთსა და ჩვენში, რომელთა ძალით იქ რევოლიუციურ მარქსიზმს შეძლება მიეცა მუშათა ფართე მასსებში დიდი გავლენა მოეპოვებია, მაშინ როდესაც აქ, საქართველოს მუშებში წინააღმდეგ „ბალშევიკებისა"—„კავკასიის კავშირის" ალაგას—ოპპორტიუნისტულ მარქსისტებს—მენშევიკებს მოეკალათებიათ.

ეს—მუშათა წრეებში, ხოლო გლეხებში იქ თუ სოციალისტური განწყობილება ძლიერი იყო,რაც გლეხკაცობას რევოლიუციური პარტიის გვერდში აყენებდა, ჩვენში კერძო მესაკუთრეობის სიყვარული მშრომელთა მასსებს ნაციონალისტურ სულის კვეთებას უნერგავდა ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მომხრეთ ხდიდა.

ამ განსხვავებული პირობებით აიხსნება კომუნისტური პარტიის **რუსეთში** შედარებითი გასაოცარი **სიძლიერე**, ხოლო **ჩვენში** კი მისი შედარებითი **სისუსტე**; ამითვე აიხსნება ის დიდმნიშვნელოვანი შედეგი, რომ კომუნისტურმა პარტიამ თავისი დიქტატურის გატარება რუსეთში მუშათა და გლეხთა საბჭოებში „უმრავლესობის დაპყრობით" დაიწყო: საბჭოების „უმრავლესობის დაპყრობის" შემდეგ შეუდგა ის სახელმწიფოებრივ ძალაუფლების დაპყრობას, ხოლო ჩვენში კი ხდება უკუღმა: ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ გვიხდება საბჭოების „უმრავლესობის დაპყრობა": გვინდა **„რევკომების რეჟიმი საბჭოების რეჟიმით შევცვალოთ"**.

ცხადია ასეთი მდგომარეობა მეტათ გვიძნელებს პროლეტარიატის დიქტატურის ჩვენში გატარების საქმეს და რომ ეს საქმე არ შეფერხდეს, ამიტომ არის საჭირო ანგარიში გაუწიოთ აღნიშნულ გარემოებას.

რას გვავალებს ეს გარემოება დღეს ფედერაციის განხორციელების საქმეში?

—ჩემი ღრმა რწმენით მხოლოთ იმას, რომ კომუნისტურმა პარტიამ ჩვენში, რათაც უნდა დაუჯდეს, **მიიღოს ენერგიული ზომები**, რომ საქართველოს მუშებსა და გლეხებში, საერთოთ მშრომელ მასსებში შექმნას რუსეთის რევოლიუციური პროლეტარიატისადმი **სრული ნდობა**, დაბოლოს ის აზრი, რომ **ფედერაცია** მხოლოთ „ეროვნულათ თავისუფალ საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფალი კავშირია" და სხვა არაფერი!

ასეთი ნდობა და ასეთი აზრი მხოლოთ მაშინ შეიძლება განმტკიცდეს ჩვენს ხალხში და **ერთიანათ ფრთა შეკვეცოს ყოველნაირ მენშევიკურ და ნაციონალისტურ გავლენას** მასზე, **როცა ფედერაციის საკითხი არა მარტო პარტიულ ორგანიზაციებში დაყენების გზით, არამედ საბჭოებში გატარების გზით სასურველათ გადიჭრება.**

გარემოება მეორე. სამი წლის განუწყვეტელი შეიარაღებული ბრძოლით შინ და გარეთ რუსეთის პროლეტარიატმა პირდაპირი რევოლიუციური გზით მიაღწია გზა ჯვარედინს, სადაც მას ამ პირდაპირი გზიდან სწრაფი მიხვევა უნდა მოეხდინა, მსვლელობის „კურსი" ერთიანათ უნდა შეეცვალა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ მის გამარჯვებას, რევოლიუციურ მონაპოვარს განსაცდელი მოელოდა.

რუსეთის პროლეტარიატმა ძალაუფლება მარჯვეთ დაიპყრო და გაალმასებული კლასობრივი ბრძოლის გზით იგი მან სრულიათ შეინარჩუნა: აღსრულდა ლენინის წინასწარმეტყველება.—„ბალშევიკები ძალაუფლებას შეინარჩუნებენო".

მაგრამ ეს არ კმაროდა, საჭირო იყო სოციალისტური წყობილების აგება ეკონომიურ საფუძველზე და და აი აქ აღმოჩნდა, რომ **„გლეხურ და წვრილ წარმოების ქვეყანაში სოციალიზმის პირდაპირ შენება არ შეიძლება.** საჭიროა გარდამავალი ფორმების შექმნა. ასეთი გარდამავალი ფორმა ლენინის ჩვენებითვე არის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი. და აი საჭირო გახდა პროლეტარიატისვე ხელით დამხობილ **კაპიტალიზმის კვლა ნაწილობრივათ აღდგენა, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება კაპიტალისტთა კლასს ისევე ხელთ არ ჩაუვარდეს**.

ეს მომენტი მეტათ მძაფრი განზე მიქცევა, გადახვევა იყო იმ ფართე, სწორ და პირდაპირი რევოლიუციური გზიდან, რომელზედაც პარტია იდგა, ამიტომ მეტათ ძნელი შეიქნა მისთვის, რომ შეჩვეული, პირდაპირი „კურსი" „ახალ ეკონომიურ კურსზე" შეეცვალა.

და მით უფრო ძნელი იყო ეს ჩვენთვის საქართველოში, რომლებიც ყოველივეს რუსეთის გაკვეთილებზე ვსწავლობდით და საკუთარი გამოცდილება სულაც არ გვქონდა. და აი ასეთ ძნელ დროში მოგვიხდა ჩვენ ძალაუფლების ხელში აღება, როცა პარტიას გარკვეული ხაზი, ახალი კურსი ჯერ კიდევ შემუშავებული დ გათვალისწინებული არ ჰქონდა. ძალაუფლება საქართველოში თითქმის დაპყრობილი იყო 21 წლის თებერვალში, მაშინ როდესაც კომუნისტურმა პარტიამ ახალი „კურსი" მხოლოთ მარტში შეიმუშავა პარტიის მეათე ყრილობაზე.

ზოგ ჩვენებურ კომუნისტთაგანს ჯერაც ვერ შეუგნია კარგათ, თუ რაში მდგომარეობს ეს „ახალი კურსი" და ბევრ მათგანს, განსაკუთრებით პროვინციელს, ცხოვრებაში მისი გატარება ეძნელება.

საქართველოს მშრომელთა მასსებს მენშევიკებისგან ღრმათ ჰქონდათ ჩაგონებული, რომ „ბალშევიკების ჩვენში შემოსვლა ღვთის რისხვა იქნებოდა"; მაგრამ, როცა მათ დაინახეს, რომ ჩვენში კომუნისტური პარტიის მმართველობა „ახალი კურსის" გატარებით—ვაჭრობის თავისუფლებით, ამნისტიით და სხვ. დაიწყო, იგრძნეს რომ ის არც ისეთი „საშინელებაა", როგორც ეგონათ; ამიტომ მათ ჩვენდამი მეტი ნდობა გაუჩნდათ და მალე საქმე ისე წარმოიდგინეს, რომ ამბობენ: „მენშევიკებიც ხომ ასე იქცეოდენო".

რა არის საჭირო ყველა ამ გაუგებრობის თავიდან ასაშორებლათ და როგორ უნდა გატარდეს ფედერაცია რომ ხალხმა მასში დამოუკიდებლობის ფეხქვეშ გათელვა და „ეროვნული კულტურის" გაქარწყლება არ დაინახოს?

—მხოლოთ ის არის საჭირო, რომ **ფედერაცია** ისე უნდა გატარდეს და ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ყველამ გაიგოს მისი **ნამდვილი** მნიშვნელობა, გაიგოს, რომ ის არის არა უარყოფა ყოველივე „ეროვნულის", არამედ ახლანდელ გარდამავალ რევოლიუციურ ხანაში არის შესაძლებელი **დამოუკიდებლობის, შესაძლებელი თავისუფლების, ეროვნული კულტურის დაცვის ერთათ ერთი სახელმწიფოებრივი ფორმა.**

ეს კი მხოლოთ მაშინ შეიძლება, როცა პროლეტარული ფედერაციის იდეის პროპაგანდა ფართე მასსებში გატარდება და პარტიულ ორგანიზაციებში კარგათ შესწავლილი—გათვალისწინებული იქნება.

26 მაისის დღესასწაულით წელს საქართველოს ხალხს ეუწყა, რომ ჩვენ საქართველოში მოვსპეთ მენშევიკური რეჟიმი, ბურჟუაზიული ძალა-უფლება და ბურჟუაზიული „დამოკიდებულობაც", მაგრამ ამით ჩვენ ნამდვილს პროლეტარულ დამოუკიდებლობას სულაც არ შევხებივართ, პირიქით ჩვენ ვცდებით **ეს დამოუკიდებლობა კიდევ უფრო განვამტკიცოთ**; ხოლო დღეს, როცა ამავე ხალხს ფედერაციას ვურჩევთ, შესაძლოა ფედერაცია ხალხს დღეს ჩვენში „მოჩურჩულე" პარტიების მეოხებით დამოუკიდებლობის გაქრობათ მოეჩვენოს.

ამიტომ აუცილებელი ხდება, რომ ხალხის ფართე მასას თვალსაჩინოთ დაუმტკიცოთ, რომ 26 მაისს ჩვენ მიერ გამოცხადებული პროლეტარული დამოუკიდებლობა მხოლოთ ფედერაციის სახით შეიძლება განხორციელდეს და სხვა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ფორმა ამ დამოუკიდებლობის უარყოფაა.

ფედერაცია, როგორც ერთათერთი შესაძლებელი სახელმწიფოებრივი ფორმა დღევანდელ მომენტში პროლეტარიატის დიქტატურისა და იმავე დროს ერის დამოუკიდებლობისა და ეროვნული კულტურის დაცვისა, აი რა უნდა გაიხადოს საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დღეს თავის პროპაგანდისა და აგიტაციის ერთ-ერთ მთავარ საგნათ საქართველოს მშრომელთა ფართე მასსაში.

ამნაირათ პარტია ამ საქმეში შეცდება იმდენათ, რამდენათაც ამ პრინციპს ის ჩვენს პრაქტიკაში არ გაატარებს.

გარემოება მესამე. ყველაზე საბედისწერო და ყველაზე ძნელი დასაძლევი ეს უკანასკნელი გარემოებაა, მასში გამოინასკვა ყველა ის პირობები, რომლებიც დღეს ჩვენში მენშევიკურ და „დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების", გინდ ყოველი ჯურის „უპარტიოთა" კონტრ-რევოლიუციურ სულის კვეთებას რომ ჰქმნიან.

რაში მდგომარეობს ის?

აი რაში. რუსეთის პროლეტარიატმა ოქტომბრის დღეებში სრულიათ გაიმარჯვა და რუსეთის მეფის ყოფი-

თულ ენაზე), ოზურგეთის: „განახლებული გურია“ (ქართულ ენაზე). დაესწრო აგრეთვე „წითელი მხედრის“ —კავკასიის ცალკე არმიის პოლიტ განათლების ორგანოს წარმომადგენელი.

ამათ გარდა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ წარმომადგენლები კავბიუროდან, რუსეთის და საქართველოს დეპეშათა სააგენტოსაგან, საქართველოს კომპარტიის ცეკას და თბილისის კომიტეტის აგიტგანყოფილებებიდან, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისგან, კავკასიის საოლქო და საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირებიდან და სხვ.

რედაქტორების ყრილობა მოწვეულ იქნა რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს ინიციატივით რ. კ. პ. ც. კ. ცნობილ ცირკულიარებთან დაკავშირებით პარტიულ და საბჭოთა პრესის მდგომარეობის შესახებ.

წინასწარ თათბირზე კვირას, 25 დეკემბერს, ყრილობის მონაწილეებმა გამოყვეს თავის შემადგენლობიდან ორი კომისია რეზოლიუციების პროექტების შესადგენად: პირველი—ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა პრესის ამოცანების შესახებ; მეორე—საორგანიზაციო—სამეურნეო საკითხებზე. მეორე კომისიის კომპენტენციაში შევიდა აგრეთვე საკითხი გაზეთის მუშაკების—ჟურნალისტების მატერიალურ მდგომარეობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის პარტიულ და საბჭოთა პრესის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. რუდაკოვმა; მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი. ყრილობამ მიიღო რეზოლიუციად მოხსენების ტეზისები.

საორგანიზაციო—სამეურნეო საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთა „ბაქოს მუშის“ რედაქტორმა—ამხ. ლიფშიცმა. მოხსენებას, ისე როგორც ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციას, საფუძვლად დაედო ბაქოში ოთხი თვის წინად დაწყებული გაზეთის ახალი საორგანიზაციო—სამეურნეო ცდა, რომელიც ამ ჟამად საბოლოოდ ჩამოყალიბდა თავისებურ „ტრესტათ“ ანუ გაერთიანებული გაზეთის—საგამომცემლო საქმედ. მომხსენებლის მიერ წამოყენებულმა დებულებებმა გამოიწვიეს ხანგრძლივი მსჯელობა.

ბოლოს ყრილობამ მოისმინა მოკლე მოხსენება გაზეთის მუშაკების მატერიალურ მდგომარეობის შესახებ და მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ძირიანად სცვლის ამ ჟამად არსებულ ჟურნალისტების შრომის ქირის გადახდის ფორმას. რეზოლიუციას საფუძვლად დაედო ის სისტემა, რომელიც გაატარეს ბაქოს გაზეთებმა.

ყრილობამ დაასრულა თავის მუშაობა ერთ სხდომაზე ღამის 12 საათზე.

რეზოლიუციები

ამიერ-კავკასიის პარტიულ საბჭოთა პრესის ამოცანები.

1. პარტიულ—საბჭოთა პრესა წარმოადგენს პროპაგანდის, აგიტაციის და ორგანიზაციის მძლავრ იარაღს, შესანიშნავ საშუალებას ფრიად ფართე მასებზე ზეგავლენისათვის.

ეს იარაღი სავსებით უნდა იქნეს პარტიის მიერ გამოყენებული. ამიტომ პარტიული პრესსის კარგ ორგანიზაციას უნდა მიექცეს პარტიული ორგანიზაციების ფრიად სერიოზული ყურადღება.

2. განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში, სადაც ჯერ კიდევ სუსტია პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სადაც კიდევ განსაზღვრულია მუშაობის და მასებზე გავლენის გასაქანი, სადაც საჭიროა განსაკუთრებით ენერგიულად შთავნერგოთ მშრომელ მასების შეგნებაში კომუნიზმის იდეები, აქ პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან სათანადო სიმაღლეზე დააყენონ პარტიულ—საბჭოთა პრესა, მთლიანად გამოიყენონ ეს მძლავრი იარაღი აგიტაციის, პროპაგანდის და ორგანიზაციისა.

3. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ამიერ-კავკასიაში პერიოდული პრესა სუსტადაა დაყენებული და არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელნიც წამოყენებულია მის წინაშე ცხოვრების მიერ.

პარტიული პრესის სისუსტე და მისი ცუდად დაყენება აიხსნება პარტიულ და საბჭოთა აპარატის საართო სისუსტით საზოგადოდ ამიერ-კავკასიაში: პრესისადმი სუსტი ყურადღებით ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების მხრით, რაც ბადებს პრესის მოწყვეტილობას მათგან. პარტიულ წრიდან გამოცდილ კვალიფიციურ ლიტერატურულ მუშაკების ნაკლებობით და არსებულ ძალების არამიზანშეწონილ გამოყენებით, მძიმე პოლიტიკურ და მატერიალურ პირობებით, რომლებშიაც ჩაყენებული არიან მუშაკები და, ბოლოს, საინფორმაციო, სარედაქციო და ტეხნიკურ აპარატის ცუდათ დაყენებით რომელსაც შეეძლოთ დამაკმაყოფილებელი სამსახური გაეწიათ მთელი ამიერ-კავკასიის პრესისათვის.

4. ჩამოთვლილ მოვლენების უარყოფითი შედეგების მოსპობით ან შესუსტებით შესაძლებელი იქნება მკვიდრ ნიადაგზე დადგეს ამიერ-კავკასიის პარტიულ საბჭოთა პრესის ორგანიზაციის საქმე. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიული ორგანიზაციები სერიოზულად და ხანგრძლივად შეუდგებიან ამ საქმეს.

5. დიდია ამიერ-კავკასიის პერიოდულ პრესის წინაშე მდგარი ამოცანები, პირველყოვლისა: 1) საკითხები პარტიული, საბჭოთა. პროფესიონალური და სამეურნეო აღმშენებლობის, 2 საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები, 3) ბრძოლა მშრომელთა განსათავისუფლებლად ნაციონალიზმისაგან, რომლებსაც სამი წლის განმავლობაში დაჟინებით უნერგავდნენ მშრომელ მასსებს მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკელები; პროპაგანდა ძმურ სოლიდარობისა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის და ეროვნულ მშვიდობიანობის ქადაგება, 4) აგიტაცია და პროპაგანდა მჭიდრო პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ კავშირისა და სამეურნეო ნგრევასთან ბრძოლის მთლიანი ფრონტის ორგანიზაცია. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საჭიროა გაზეთების ცხოველი კავშირი პროფკავშირებსა და სამეურნეო ორგანოებთან, ყოველდღიური გაშუქება და სწორი ორიენტაცია სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებში.

ამიერ-კავკასიის უმთავრესად გლეხურ-საბჭოთა რესპუბლიკების პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: 1) პროპაგანდას **სასოფლო-მეურნეობის** საწარმოო ძალების აღორძინების სფეროში, 2) ადგილობრივ მოსახლეობის ჩაბმას სამეურნეო მუშაობაში, ახალ სამეურნეო ჩვეულებების შექმნას მათ წრეში. აგრონომიულ და სხვა ტეხნიკურ დახმარებას, მესაქონლეობის გაუმჯობესებას და 3) მორწყვის საქმეს.

მსხვილი მრეწველობის აღორძინების მიზნით: 4) ნავთს, ნახშირის და შავიქვის მრეწველობის საკითხებისა მუდმივ გაშუქებას, 2) ტრანსპორტის, 3) ამიერკავკასიის ელექტროფიკაციის 4) საგარეო ვაჭრობის და სხვა საკითხების.

ამ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად საჭიროა: ა) დაახლოვებულ იქნას და უფრო მჭიდროდ შეკავშირებული სარედაქციო კოლეგიები პარტიასთან, გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორად პარტკომის წევრის დანიშვნით ან საშუალების მიცემით იმ რედაქტორებისათვის, რომელნიც არ არიან პარტკომების წევრები, დაესწრონ პარტკომების და მათი პრეზიდიუმების სხდომებზე; ბ) მოხდენილ იქნეს აღრიცხვა, მობილიზაცია და სწორი განაწილება გაზეთის მუშაკებისა; გ) განსაზღვრულ იქნენ გაზეთები პარტიულ და საბჭოთა ნიშანდობის მიხედვით; დ) მოეწყოს რესპუბლიკების ცენტრალურ პარტსკოლებთან ჟურნალისტკის სექციები (პრაკტიკანტების გაგზავნა და სხ.) და ე) გატარდეს ცხოვრებაში რ. კ. პ. 8 ყრილობის დ რუსეთის აგიტ-პროპგანყოფილებების თათბირის დადგენილებანი.

7) თათბირი აუცილებლად სცნობს გაზეთების წარმოების სამაგალითო დაყენებას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მასსებისათვის მშობლიურ და გასაგებ ენებზე—თათრულ, სომხურ და ქართულზე.

8) თათბირს საჭიროდ და მნიშვნელოვანად მიაჩნია ჩვენს გაზეთებში მეტი ყურადღება მიექცეს წითელ არმიის ცხოვრებას. ამისათვის საჭიროა უმჭიდროესი კავშირი სათანადო საარმიო პოლიტორგანიზაციებთან, წითელ არმიის საკითხების უფრო ფართედ გაშუქების მისაღწევად.

9) სისტემატიურად მოთავსდეს მუშა-ქალთა და ახალგაზრდობის ფურცლები.

საორგანიზაციო საკითხები.

1) ყოველ დღიური გაზეთები აუცილებლად და დაუყონებლივ უნდა გამოიყოს დამოუკიდებელ ერთეულად, რომელიც არ იქნება შეკავშირებული ორგანიზაციული ან მეურნეობის მხრივ რომელიმე ჩვენ უწყებასთან ცალკე. გაზეთები თავს უყრის ამ ჟამად ყველა თავის დაქსქსულ აპარატებს (ინფორმაციული, სარეპორტიორო, გამომცემლობის, ექსპედიციის) მთლიან ერთეულში, რომლებიც დაექვემდებარება თვით რედაქციას და იქნება მის უშუალო გამგებლობაში.

2) იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში გამოდის რამოდენიმე გაზეთი (პარტიული, საბჭოსი, პროფესიონალური) ისინი პოლიტიკურათ ერთდებიან პასუხისმგებელ რედაქტორებისაგან შემდგარ მთლიან სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობის ქვეშ და ამ კოლეგიის თავმჯდომარეს ნიშნავს პარტკომი; მეურნეობის მხრივ ეს გაზეთები ადგენენ ერთ მთლიან ერთეულს, ეწყობიან ერთ სამეურნეო ორგანიზაციათ, რომელსაც მეთაურობს გამგეობა, შემდგარი იმავე პასუხისმგებელ რედაქტორებისაგან.

3) გაზეთები განაგრძობენ მუშაობას სრულ კონტაქტში ადგილობრივ დეპეშათა სააგენტოებთან და ამასთან ამ უკანასკნელებისაკენ გადადის გაზეთებზე ქალაქის ადგილობრივი ქრონიკის ფუქციები. თვითეულ სპეციალურ გაზეთს (პარტიული, საბჭოსას და სხვ.) ევალება მოაწყოს თავის რეპარტაჟი.

სამეურნეო კითხვები.

1) გაზეთები დაუყონებლივ გადადიან სამეურნეო ანგარიშიანობაზე, როდესაც საკუთარი ორგანიზაციების ხარჯები უნდა დაფარონ საკუთარი შემოსავლით. გაზეთის არც ერთი ნომერი არავის უსასყიდლოთ არ მიეცემა.

2) მუშებს, წითელ არმიელებს და გლეხებს საზოგადოთ ყველა იმ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებისაგანაც უშუალოდ გაზეთის ფასის აღება არ შეიძლება, ისინი, მიიღებენ გაზეთის სამეურნეო ორგანოსა და პარტკომის შეთანხმებული განაწილებით მიიღებენ გაზეთს იმ სამეურნეო, საგანმანათლებლო და სხვა ორგანოების ხარჯზე, რომლებიც ვალდებული არიან ან გადაიხადონ მუშების სამუშაო ქირა ან აწარმოვონ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა (გლეხებ-წითელარმიელებში).

3) გაზეთები გამოდის კერძოთ გასაყიდათ და იწყებს განცხადებების მიღებას. ამასთან კერძო გაზეთების არსებობის გამო წესდება განცხადებების მონოპოლია, რომელიც გადადის საბჭოთა გამოცემების ხელში.

რეზოლიუცია

პრესის მუშაკების მატერიალური მდგომარეობის საკითხის შესახებ.

1) რედაქციის ტეხნიკურ პერსონალის შრომის ქირა და მუდმივ თანამშრომლების სტრიქონების ანგარიშით გონორარის გადახდა უნდა წარმოებდეს კოლექტიურ მომარაგების პრინციპებზე. ყოველ გამოცემას, ხარჯთ-აღრიცხვის წესით, გაზეთის გაერთიანებულ საგამომცემლო ცენტრებში, ეძლევა განსაზღვრული თანხა ზევით აღნიშნულ ხარჯებისათვის; ამ თანხის განაწილება ტეხნიკურ პერსონალსა და გაზეთის თანამშრომლებს შორის ხდება თითოეულ რედაქციის მიერ დამოუკიდებლად მხოლოდ გაზეთის საგამომცემლო გაერთიანების სათანადო ნორმების მიხედვით.

2) აღნიშნული დებულება შეეფარდოს საბჭოთა რუსეთის უკანასკნელ დებულებებს და დეკრეტებს.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სურსათი

თხილის დამზადება. სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ, თხილის დამზადების და უცხოეთში გასატანის ნებართვის წესის შესახებ, დაადგინა გადაახდევინოს გატანის ნებართვაში ნატურით: კოოპერატივებს 20 პროც. და კერძოებს 25 პროც.

საზოგადოებრივ კვების რეორგანიზაცია. 15 დეკემბრიდან თანახმად სასურსათო კომისარიატის დადგენილებისა, ყველას მოესპო კრედიტი სასადილოებისათვის. დაინტერესებულ კოლექტივებს წინადადება მიეცათ მოაწყონ სასადილოები კოოპერატიულ საფუძველზე.

ტომრების დამზადება. ცენტრო კავშირს გადაეცა ათას ტომრის დამზადების შეკვეთა.

საქონლის გაცვლა. სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ გადასცა დამზადების მმართველობის განკარგულებაში 50 ათასი არშინი მანუფაქტურა, რომლის რეალიზაცია უნდა მოხდეს შინა ბაზარზე კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით.

— ტერიტორიალურ-სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას ნება მიეცა გადაცვალოს მარილი სასოფლო-მეურნეობის წარმოების ნაყოფზე, სასურსათო კომისარიატის რწმუნებულის დახმარებით.

— ჩრდილო-კავკასიიდან მოტანილ საპნის ნაცვლად დადგენილია მიეცეს 250 ფუთი რკინის საქონელი და 60 ფუთი სოდა.

სიმინდის დამზადება. მიღებულია ზომები ზუგდიდის მაზრაში სიმინდის დამზადების გასაძლიერებლად. ამ დღეებში სასურსათო კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო ზუგდიდსამურზაყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირთან 200 მილიონ მანეთის სიმინდის მიცემის შესახებ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ჩაბარების ორი ვადა, უკანასკნელია არა უგვიანეს 15 იანვრისა. კავშირს გადაეცა საქონლისა და ფულის ავანსი.

მრეწველობა

ღვინოს გადამუშავება. ს. მ. უ. ს. ღვინო-სპირტის განყოფილებამ აღძრა საკითხი მასზე ნატურ გადასახადით მოკრეფილ ღვინის ნაწილის გადაცემის შესახებ კონიაკ-არაყის წარმოების მოსაწყობად. ასეთივე საკითხი აღძრა მიწად-მოქმედების კომისარიატმა. სასურსათო კომისარიატი ამ პროექტს თანაგრძნობით მოეკიდა, აღიარა რა ამასთანავე საჭიროდ დაიტოვოს თვითონ გამოხდილ სპირტის და კონიაკის განსაზღვრული ნაწილი. ს. მ. უ. ს. ღვინის ნაწილის ან და მის მიერ ღვინის მოსავლის შეგროვების შესახებ მოლაპარაკება წარმოებს.

საქართველოს საამშენებლო ტრესტი.

ს. პ. კ. ს. ეკონომიურ განყოფილების კრებაზე 22 დეკემბერს განხილულ იქნა საკითხი საამშენებლო სახუროთმოძღვრო და საარქიტექტურო საამშენებლო საქმის რეორგანიზაციისა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიხედვით და გადასვლისა სამეურნეო, საკომერციო საფუძველზე, კრებამ დაადგინა:

1) იმ მოსაზრებით, რომ საამშენებლო საქმე რესპუბლიკაში სრულიად ჩაქრა, რომ სახელმწიფო შენობათა კომიტეტის და მის განყოფილებათა არსებულ სქემის გამო, ადგილი ჰქონდა მეტად არანორმალურ მოვლენას, როდესაც არსებობდა მთელი რიგი სახელმძღვანელო ორგანოებისა და არ არსებობდა ორგანო მართველობისა და აღმშენებლობის წარმოებისა, რამაც ერთ დროულად ჩააქრო მომხმარებელი ბაზარიც, გამოყოფილ იქნას საამშენებლო და საარქიტექტურო—საამშენებლო საქმე სახელმწიფო შენობათა კომიტეტისაგან და დაარსდეს საქართველოს საამშენებლო ტრესტი (კომბინაციის მიხედვით).

2) ტრესტის ფუნქციებათ დაწესდეს: ა) დამზადება ყველა საამშენებლო მასალისა, ბ) წარმოება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სა-

---

ლი იმპერიის ფარგლებში თავისი დიქტატურა გამოაცხადა. ამ გამოცხადების მეორე დღესვე ატყდა კონტრ-რევოლიუცია და რუსეთის ყოფილმა იმპერიამ იწყო რღვევა-დაშლა. რუსეთის პროლეტარულ ცენტრებს—პეტროგრადს და მოსკოვს—თანდათან ჩამოშორდენ ყველა ის მხარეები, კუთხეები, სადაც წვრილი კულტურული ერები მოსახლეობდენ და სადაც ეროვნული ჩაგვრის ნიადაგზე ეროვნული მოძრაობა ასე თუ ისე განვითარებული იყო. ამ ერთა შორის არა მცირე ადგილი ეჭირა ქართველ ხალხსაც და აი მისმა მაშინდელმა მეთაურმა და ხელმძღვანელმა პარტიამ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ მოსწყვიტა ის რუსეთს და თავისი **ერის უმრავლესობის**, ე. ი. წვრილ მწარმოებელი მასის, „დემოკრატის“ დიქტატურათ გამოაცხადა და ამ დიქტატურის სახელით რუსეთის პროლეტარიატისგან დამოუკიდებლათ მის მართვა - გამგეობას შეუდგა. აი რატომ იყო, რომ მენშევიკები მუდამ დიდი რიხით აცხადებდენ: „უმრავლესობის დიქტატურას“ ჩვენ ვატარებთ და არა თქვენო, მათი სიტყვით ჩვენ მხოლოთ „უმცირესობის დიქტატურის“ გამტარებელი ვართ.

და მართლაც, ჩვენ ვართ პროლეტარიატის დიქტატურის გამტარებელნი და თუ საქართველოში მას **პირდაპირ შეუზღუდავათ** გავატარებთ, ეს იქნება საქართველოს ხალხის მეტათ „უმცირესობის დიქტატურა“, ვინაიდან პროლეტარიატი საქართველოში მოსახლეობის მხოლოთ მცირე ნაწილს შეადგენს.

მაგრამ საქმე ასე როდია და ჩვენ ასე როდი ვმსჯელობთ, არამედ ასე: პროლეტარიატი იბრძვის თავისი დიქტატურის გასატარებლათ და ატარებს, ახორციელებს მას **იმდენათ**, რამდენათაც მის დიქტატურას ურიგდება და ეთანაბრება მშრომელი ხალხის დიდი უმრავლესობის ნება სურვილი; დ რადგან ჩვენი ხალხის დიდ უმრავლესობას ნახევარ-პროლეტარი და „შუათანა“ გლეხკაცობა შეადგენს, რომელთა ინტერესები მხოლოთ პროლეტარიატის ბრძოლით და დიქტატურით შეიძლება სავსებით დაკმაყოფილებულ იქნას, ამიტომ ხალხის ეს უმრავლესობა პროლეტარიატის დიქტატურას **მხარს უჭერს** და სურს გაატაროს იგი თავის ქვეყანაშიაც რა თქმა უნდა **იმდენათ და მანამდე, ვიდრე პროლეტარიატის მისწრაფება და დიქტატურის განხახიერება მათ ინტერესებს არ გაცილებია და არ დაშორებია.**

ამით აიხსნება უმთავრესათ ის საოცარი მოვლენა, რომ ისეთ „გლეხურ“ და წვრილ მესაკუთრეობის ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, ძველი სოციალ-დემოკრატია, როგორც სოციალისტური „მუშური“ პარტია, ყველაზე მეტ ხმას ღებულობდა ყოველგვარ არჩევნებში, რომ ქართველ ხალხში სოციალისტური სულის კვეთება ტრიალებდა. ამ გარემოებით ისარგებლეს ჩვენებურმა მენშევიკებმა და თავიანთი შოვინისტური ლოზუნგი—რუსეთს ჩამოვშორდეთ და საკუთარი „დემოკრატიული ოაზისი“ შევქმნათო—სოციალისტური დროშით გაატარეს.

აქ შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს და იკითხოს: ეგ როგორაა, რომ ქართველი ხალხი წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიის მომხრეც არის და იმავე დროს პროლეტარული დიქტატურისაც, სოციალიზმის უარმყოფელიც არის და მისი მოსურნეც.

დიახ, ქართველი მშრომელი ხალხის სოციალური აწინდელი სტრუქტურა, მისი კლასობრივი აგებულება, ბუნება ისეთია, რომ ის სოციალისტიც არის და არა სოციალისტიც, ბურჟუაზიის მხარეზედაც დგება და პროლეტარიატსაც მხარს უჭერს და ეს იმიტომ, რომ მან არ იცის, მას მთელი თავისი არსებით ღრმათ არ უგრძვნია, თუ რომელი ისტორიული ძალა იმარჯვებს, ბურჟუაზია, თუ პროლეტარიატი, კაპიტალიზმი, თუ კომუნიზმი.

ის, როგორც უმეტესათ გლეხი, ანგარიშობს, თუ რას მოიგებს ან რას წააგებს, რომ ამა თუ იმ მხარეს მიემხროს. მასზე ორი ძალა მოქმედებს—ბურჟუაზიული და პროლეტარული—და ის იმისკენ იხრება, ვინც მეტ გავლენას ახდენს ან მეტ ძალას იჩენს.

აქედან ის მთელი რეაქციის ხანაში —სახელმწიფო სათათბიროს ხანაში— მენშევიკების მხარეზე იყო, ხოლო რუსეთის დიდი რევოლიუციის ხანაში რყევა და გადახრა დაიწყო პროლეტარიატისაკენ და ბოლო ხანებში, უნდა ვიფიქროთ, მის მხარეზე აშკარათ და მტკიცეთ დადგება, მხოლოთ იმ პირობით კი, **თუ რუსეთის მებრძოლმა პროლეტარიატმა ამ უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაშიაც,** „ეკონომიურ ფრონტზედაც“ გაიმარჯვა.

მენშევიკებმა კარგათ იცოდენ ჩვენი ხალხის ასეთი ორმაგი სულის კვეთება და ამიტომაც ისინი მუდამ ცდილობდენ ორფეროვანი დროშით გამოსულიყვენ ქართველი ხალხის წინაშე, რომ იგი ერთიანათ შეებოჭათ და თავიანთ გავლენის ქვეშ დაეყენებიათ.

რაც თვითმპყრობელობის დროს რუსეთს მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიალიზმმა ჰინდენბურგის თოფზარბაზნებით ვერ მოუხერხა, ის რევოლიუციის პროცესში კონტრ-რევოლიუციამ შესძლო მენშევიკური დროშით ხელში.

ამავე დროშით გამოვიდა საერთაშორისო კონტრ-რევოლიუცია რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ და ამნაირათ მენშევიკური დროშა შეიქნა მისი საერთაშორისო დროშა, მენშევიკური სოციალ-შოვინიზმი აშკარათ დაუპირდაპირდა პროლეტარულ კომუნისტურ დროშას მსოფლიო მასშტაბით.

ეს კარგათ შეიგნო მსოფლიო სოციალ-შოვინიზმის სულის ჩამდგმელმა უკვე სულთ მობრძავმა „მეორე ინტერნაციონალმა“ და მისმა სახელგანთქმულმა ბელადმა, ჩვენში კარგათ ცნობილმა კაუცკიმ. კაუცკიმ საქართველოში დაინახა ამ ინტერნაციონალის მიუვალი ციხე-სიმაგრე და თავისი ამალით კიდეც შეაფარა თავი მას 1920 წელს და ყვითელი გული მენშევიკების ყვითელი გვარდიის ნიშნით დაიმშვენა. მან სთქვა: „ვამაყობ მით, რომ საქართველოს მენშევიკური გვარდიის წევრის სახელწოდება შევიძინეო“.

ამნაირათ კაუცკი (ძველათ კი პლეხანოვი) საქართველოს მენშევიზმს თავიანთ იდეიურ ნავთსაყუდლათ თვლიდენ, მეორე მხრით რუსეთის პროლეტარიატს მასში თავისი მთავარი მტერი უნდა დაენახა, როგორც მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის მთავარი ძალა და ხელადებით, დაუზოგველათ უნდა შებრძოლებოდა მას.

ასედაც მოხდა: ჯერ გაიმართა იდეიური ბრძოლა და როცა საქართველოს მენშევიკებმა ეს იდეიური ბრძოლა სახელმწიფოებრივი აპარატის, თავიანთი „დემოკრატიული რესპუბლიკის“ რეპრესიებით არარათ აქციეს, მაშინ საქართველოს კომუნისტური პარტია იძულებული გახდა „კრიტიკის იარაღიდან“ გადასულიყო „იარაღის კრიტიკაზე“ და უიმედო „შეიარაღებული გამოსვლების“ მოწყობას შედგომოდა. მე აქ არ შევეხები იმ კითხვას, თუ რამდენათ საფუძვლიანი და აწონილ-დაწონილი იყო ეს „გამოსვლები“, მხოლოთ ვიტყვი, რომ ის იყო დასაწყისი შეიარაღებული ბრძოლისა ჩვენში მენშევიზმის დასამხობად და ამნაირათ ის იყო საერთაშორისო მნიშვნელობის ბრძოლა, ის იყო პროლეტარიატის იერიში **მსოფლიო კონტრრევოლიუციის ერთ მთავარ ციხე სიმაგრეზე** მიტანილი დ ამიტომ მარტო საქართველოს კომუნისტური ძალებით მისი ნაყოფიერათ შესრულება, ცხადია, შეუძლებელი საქმე იყო.

საქართველოს კომუნისტურ ძალებს, კომუნისტურ პარტიას ამ საქმეში, ცხადია უნდა წამოშველებოდა პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციის შეიარაღებული ძალების ავანგარდი, რუსეთის წითელი არმია და მოეშველა კიდეც.

გაიმართა საქართველოს ნიადაგზე საერთაშორისო მნიშვნელობის ბრძოლა, ბრძოლა საბედისწერო, პროლეტარული რევოლიუციისათვის: ვინაიდან წითელი არმიის ამიერ კავკასიაში შემოსვლით საერთოთ და საქართველოში მისი დაბანაკებით კერძოთ სწყდებოდა ბედი საერთაშორისო იმპერიალისტური კონტრევოლიუციის მთავარი ბურჯის, **ქართული მენშევიზმისა.**

„ბარაბანი დაჰკრეს, საქართველო იმარხებაო“, სთქვა თურმე, როგორც ისტორია გადმოგვცემს, თბილისელ კათოლიკების ერთმა პატრმა (ხუცესმა) თბილისში თვითმპყრობელურ რუსეთის ჯარის პირველ შემოსვლაზე.

რუსის ჯარის შემოსვლით მართლაც დაიმარხა მაშინ საქართველო, მაგრამ, არა მშრომელთა საქართველო, არამედ თავადაზნაურული, ფეოდალური საქართველო!

დღესაც გვესმის ჩვენში წითელი არმიის, არა თვითმპყრობელური რუსეთის არმიის, არამედ რუს პროლეტარიატის შეიარაღებული ძალის შემოსვლაზე ჩვენი „მამულიშვილების“ წივილ-კივილი: „გვიშველეთ, საქართველო იმარხებაო“!

— დიახ, ბურჟუაზიულ-თავად აზნაურული საქართველო მართლაც „**იმარხება**“, მაგრამ იმავე დროს **შენდება** ახალი სოციალისტური, მშრომელთა **საქართველო!**

და რომ ეს ნამდვილათ **ასე ხდება** ამაში უნდა დარწმუნდნენ თვით საქართველოს მშრომელთა მასსები! მხოლოთ მაშინ მიწყდება მამულიშვილთა წივილ-კივილიც. მაშინ თვით მშრომელთა მასსები ხელადებით შეუდგებიან ახალი სოციალისტური საქართველოს შენებას!

ხოლო ამ შენობის მთავარი ამგები ხუროთმოძღვარი, როგორც ვიცით, მხოლოთ პროლეტარული სახელმწიფოა, რომელმაც დღევანდელ გარდამავალ ხანაში ამიერკავკასიის ფარგლებში ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფალი კავშირის, ფედერაციის სახე უნდა მიიღოს.

ეს კი შესაძლებელია მხოლოთ იმ პირობით, თუ საქართველოს მშრომელთა მასსები მიხვდებიან და დარწმუნდებიან იმაში, რომ საქართველოში წითელი არმიის შემოსვლით და ფედერაციის შემოღებით ქართული ეროვნული კულტურა კი არ ისპობა, არამედ ეს კულტურა **ფორმით** ქართული, ეროვნული, ხდება **შინაარსით** საერთო კაცობრიულ-კომუნისტური; რომ სახელმწიფოებრივი ფორმა—**ფედერაცია საუკეთესო საშუალებაა ეროვნული კულტურის დასაცავათ.**

როგორც ხედავთ აქაც იმავე დასკვნას მივადექით: თუ გვინდა ჩვენში **ფედერაცია** უმტკივნეულოთ განხორციელდეს, თუ გვინდა ჩვენი დროის და პირობების პროლეტარული დიქტატურის გამომხატველი სახელმწიფო შევქმნათ ამიერკავკასიაში, ამისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ფედერაციის იდეა ამიერკავკასიის მშრომელთა მასსებისათვის ადვილ გასაგები და მისაწვდომი გახდეს.

ამას ხელს უშლის ჩვენს ხალხში— გავლილი ამბების მეოხებით ღრმათ ჩანერგილი უნდომლობა, როგორც რუსებისადმი ისე სომხებისადმი და თათრებისადმიც. მოიგონეთ მენშევიკურ საქართველოს ომები სომხებთან, აზერბეიჯანთან და რუს წითელ არმიასთან. **ამ გარემოებამ** და კიდევ იმ გარემოებამაც, რომ საბჭოთა წყობილების ჩვენში გასამაგრებლათ, მრჩეველებათ, „ინსტრუქტორებათ“ ზოგი რუსი ამხანაგი გამოდის, შექმნა ჩვენს ნაციონალისტურ წრეებში ეჭვიანობა, რაიც შეიძლება, გაიზიაროს ზოგ საღმა ელემენტმა მშრომელთა ოჯახიდან. ამ ეჭვიანობის სრულიათ დაძლევა შესაძლებელია მხოლოთ **სრული ნდობით** კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობების მხრით ქართველი მშრომელი მასსებისადმი, ქართული ეროვნული კულტურისადმი—თუ ამ „კულტურას“ ფეოდალური, თავადაზნაურული ტრადიციებით და ბურჟუაზიული ლიბერალიზმით გაქლენთილს არ მივიღებთ მხედველობაში.

ფედერაცია ქართული, თათრული სომხური ელფერით შეღებილი, აი როგორი უნდა იქნეს ამიერკავკასიის საერთო პროლეტარული სახელმწიფო!

საერთოთ ფერად წითელი, მაგრამ სხვა და სხვა ელფერ დაკრული, შინაარსით ერთ პროლეტარული, ერთიანი, მაგრამ ფორმით მრავალ ეროვნული, მრავალფეროვანი, აი როგორი უნდა იქნეს და იქნება კიდეც ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი შენობა, ფედერაცია!

აქ უმთავრესათ ფორმა ხიბლავს ხალხს.

ამას მიხვდენ საზღვარგარეთ გადახვეწილი ჩვენი მენშევიკები და შეუდგენ კიდეც იქ თავისებურ ბურჟუაზიულ ეროვნულ ფედერაციის შექმნას. ისინი კარგათ იცნობენ ამიერკავკასიის ერებს და მათ უნდათ ეს ერები ეროვნული ფედერაციით მოხიბლონ, სურთ დაკარგული ბატონობა ამ იარაღით დაიბრუნონ.

მაშასადამე საჭიროა კომუნისტურმა პარტიამ მათ ეს იარაღიც ხელიდან გამოსტაცოს მით, 1) რომ თავის პროლეტარულ ფედერაციას ეროვნული სახე მისცეს, როგორც ეს უკვე რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ დიად კონსტიტუციაშია აღნიშნული; 2) რომ მშრომელ მასსებისათვის გასაგები და მისაწვდომი გახადოს პროლეტარულ ეროვნული ფედერაციის იდეა და 3) რომ ეს იდეა, ეს გეგმა პრაქტიკაში გაატაროს მშრომელ მასსებთან დაკავშირებით და მათი სანქციით.

რ. კალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაოებისა, სამუშაო კანტორების შემწეობით.

3) მიენდოს ამხ. ჩისიევს, მშენებელთა კავშირის საეკონომიო განყოფილებასა და სახელმწიფო შენობათა კომიტეტთან ერთად, შეიმუშაოს დებულება საქართველოს საალმშენებლო ტრესტისა და საალმშენებლო კანტორების შესახებ.

4) საურთიერთო დამოკიდებულება სახელმწიფო შენობათა და საალმშენებლო ტრესტის შორის დამყარებული იყოს ასე: ა) სახელმწიფო საალმშენებლო კომიტეტი წარმოადგენს სახელმწიფო სახელმძღვანელო ორგანოს; ბ) საქართველოს საალმშენებლო ტრესტი წარმოადგენს სამმართველოს და საწარმოებ ორგანოს.

5) ამასთანავე მოხდეს ლიკვიდაცია და გადაეცეს საალმშენებლო ტრესტს სახელმწიფო შენობათა კომიტეტის საალმშენებლო სახელოსნო და საარქიტექტურო საალმშენებლო საქმე.

6) რესპუბლიკის საალმშენებლო სახელმძღვანელო ფუნქციები დაეკისროს განსაკუთრებით სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიას.

7) მართვა-გამგეობა საალმშენებლო ტრესტისა დაეკისროს მართველობას, რომელსაც დაარსებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მშენებელთა და ხე-ტყის დამმუშავებელთა შეერთებულ საბჭოსთან ერთად.

8) ტრესტის შემადგენლობაში ჩაირიცხოს: აგურხანა—3, კრამიტის და აგურის ქარხანა—1, კირისა—1, ცარცისა—1. გაჯისა—2. კერამიკული ჰურჭლის დამზადებისა—2.

9) ამავე დროს აღძრულ იქნას შუამდგომლობა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე, გადაეცეს ტრესტს თბილისის ერთი ხე-ტყის სახერხავი ქარხანა.

10 ნება მიეცეს ტრესტს საალმშენებლო მუშაობის, როგორც სამეურნეო წესით, ისე იჯარით გაცემით.

ს. პ. კ. ს. აღმ. კომ. გაფართოებული პლენუმი

პროფკავშირების კულტურული ამოცანები

(ამხ. ყურულაშვილის მოხსენება)

კულტურულ მუშაობის მოთხოვნილება.

პროფკავშირების უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. ერთის თვალის გადავლებაც-კი პროფესიონალურ სტატისტიკაზე გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდია ჩვენში წ—კ უცოდინართა პროცენტი, როგორ მწვავეთ საგრძნობია კვალიფიციურ მუშების ნაკლებობა. თუ დავაკვირდებით სკოლის ცხოვრებას, ჩვენ დავინახავთ, რომ სკოლა არაა უზრუნველყოფილი, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ზარალი არ მოუტანოს მუშებს.

პროფესიონალური მუშაკების ნაკლებობა.

როგორც ცენტრში, ისე იდგილებზე მწვავედ საგრძნობია მომზადებულ პროფმუშაკების ნაკლებულება, რაც ძლიერ აბრკოლებს პროფკავშირების მუშაობას. ეს ნაკლებულება პროფკავშირებისა აუცილებლად უნდა ვძლიოთ, რომ რაიმე რეალურ შედეგებს მივაღწიოთ ჩვენს მუშაობაში. აუცილებლათ საჭიროა შევქმნათ პროფმუშაკების სკოლა, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ პროფესიონალურ მოძრაობის სფეროში გამოცდილ მუშაკების კრიზისი. პროფ-კავშირების კულტურულ-განმანათლებელ ამოცანების შესასრულებლათ არსებობს კულტურული განყოფილებანი ს. პ. კ. ს. და კავშირების ცენტრალურ გამგეობასთან; პროვინციებში კულტურული მუშაობა თავ-მოყრილია სამაზრო პროფბიუროების ხელში, რომ ცალკე კულტურულ განყოფილებების შექმნით არ დაქუცმაცდეს უიმისოდაც მცირე ძალები პროვინციისა, ადგილებზე არსებობს კულტურული უჯრედები (იაჩეიკები) ეს პირველ დაწყებითი ორგანიზაციები კულტურულ მუშაობისა.

ურიერთობა სახალხო განათლების კომისარიატთან.

კულტგანყოფილებათა წესიერ მუშაობისთვის თავდაპირველათ საჭიროა წესიერი ურთიერთობა სახალხო განათლების კომისარიატთან, ეს ურთიერთობის წესიერება უკვე მიღწეულია ცენტრში, ხოლო პროვინციაში ჯერ ეს ვერ მოვახერხეთ. ჩვენი წარმომადგენლები შედიან სახალხო განათლების კომისარიატში, ისე როგორც სახ. გან. კომ. წარმომადგენელი შედის ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში.

სამაზრო პროფბიუროების მუშაობა უნდა მჭიდროთ დაუკავშირდეს ადგილობრივ პოლიტგანათლების მუშაობას. ყველა საღსარი და საშუალება რომელიც შედის პოლიტგანათლებაში ყოვლის უწინარეს უნდა იხარჯებოდეს პროფკავშირებში დარაზმულ პროლეტარიატის კულტურულ განმანათლებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. ყოველი მუშაობის გეგმა, როგორც წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის და პროფტეხნიკურ განათლების სფეროში, ისე სოციალურ აღზრდის სფეროში, უნდა შემუშავებულ იქმნას ადგილობრივ პოლიტგანათლებასთან ერთათ, მაგრამ წესიერ ურთიერთობის უმთავრეს პირობას შეადგენს საურთიერთო წარმომადგენლობა. პოლიტგანათლების განყოფილებებს უთუოთ უნდა ემჩნეოდეს პროფკავშირთა გავლენა.

წ. კ. უცოდინრობის ლიკვიდაცია და პროფტეხნიკური განათლება.

ჩვენ მიერ მოსაზრებული მუშაობის გეგმა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს წ. კ. უცოდინრობის ლიკვიდაციას. თბილისში ამ მხრივ ზოგიერთი რამ უკვე გააკეთეს. არსებობს 25 სკოლა, აღრიცხულნი არიან ყველა წ. კ. უცოდინარნი. პროვინციაშიაც იგივე უნდა გავაკეთოთ: აღვრიცხოთ წ. კ. უცოდინარნი და მერე პოლიტგანათლებასთან ერთად შევიმუშაოთ წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა. აუცილებლათ საჭიროა დაუყონებლივ მოვახდინოთ ტეხნიკურ უცოდინრობის ლიკვიდაცია. ამ მიზნით ჩვენ დავაარსეთ 10 ტეხნიკური სკოლა. ტეხნიკურ სკოლების გახსნას ყველა მაზრებში, ალბათ ჩვენ ვერ მოვახერხებთ, რადგან კვალიფიციურ მუშაობის მოსამზადებლათ საჭიროა კვალიფიციური მასწავლებლები, ხოლო ასეთები ჩვენ მეტად ცოტა გვყავს. ეს ტეხნიკური სკოლები უნდა შეინახონ სათანადო-სამეურნეო ორგანოებმა. ამ სფეროში პროფკავშირებმა უნდა გამოიჩინონ რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა. პროფტეხნიკურ განათლების გარდა, უნდა ყურადღება მივაქციოთ მოსამზადებელ სკოლებს ქარხნებთან და სახელოსნოებთან იმ ახალგაზრდა მუშებისთვის, რომლებიც შტატების შემცირების გამო დათხოვნილ იქნებიან. საიდანაც უნდა იყოს ჩვენ ფული უნდა ვიშოვნოთ მათ გასანათლებლათ. პროფკავშირებმა უნდა ბეჯითათ ადევნონ თვალი, რომ პროფკავშირების წევრთა არც ერთი შვილი არ დარჩეს სკოლის გარეთ. სამაზრო პროფბიუროებმა უნდა ყოველნაირათ ხელი შეუწყონ სკოლების რემონტსა და მომარაგებას, საბავშო სახლების შექმნას და სხვა. ჩვენ ამას წინათ მოვაწყეთ მუშათა ფაკულტეტი პოლიტეხნიკუმთან, ეს დიდი მონაპოვარია საქართველოსთვის.

ეხლა ჩვენ წინს სდგას ამოცანა მოვაწყოთ მუშათა ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

კლუბები.

ერთს უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს კლუბების ორგანიზაცია. აქამდე ეს საქმე არა თუ მარტო პროვინციებში, თბილისშიაც კი ქაოტიურათ სწარმოებდა. კლუბები უნდა იყვნენ კულტ-განყოფილებების განკარგულებაში. კულტ. განყოფილებებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კლუბების ცხოვრებას, მაგრამ ისინი „ოპეკუნებათ“ (მზრუნველებათ) როდი უნდა გაუხდნენ კლუბებს—პირიქით, მათ ფართე თვითმოქმედება უნდა მიანიჭონ მუშებს, უნდა განავითარონ ფართე პოლიტიკურ განმანათლებელი და სასტუდიო მუშაობა. პროფტეხნიკურ სკოლების გარდა უნდა იმართებოდეს ხოლმე ლექციები და საუბრები მუშებისათვის საინტერესო საკითხებზე; ამ სამუშაოს განსახორციელებლათ საჭიროა მჭიდრო შეთანხმებული მოქმედება ადგილობრივ პოლიტიკურ-განმანათლებელ ორგანიზაციებთან. უთუოთ უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურულმა მუშაობამ შეიძლება იწარმოვოს მუშათა მასსების ფართე ინიციატივითა და თვით მოქმედებით.

პროფესიონალური პრესა.

რაც შეეხება პროფესიონალურ პრესას, აქამდე მუშაობამ ამ სფეროში ჩაიარა საკმაოთ წარჩინებით. გამოდიოდა ყოველდღიური ორგანო, ითარგმნებოდა მთელი, რუსულ ენაზე არსებული პროფესიონალური ლიტერატურა და სხვა; ერთი სიტყვით, ამ სფეროში ჩვენ ვაკეთებდით ყველაფერს, რაც კი შეგვეძლო.

პროფინტერნის კვირეული.

კულტ.-განყოფილებების მახლობელ ამოცანას წარმოადგენს პროფინტერნის და პროფმოძრაობის კვირეულის ჩატარება. ამ მუშაობას დაუყონებლივ უნდა შეუდგნენ ყველა სამაზრო პროფბიუროები.

კულტურულ მუშაობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს.

აქამდე კულტურული მუშაობა მეორე რიგში იდგა, მთელი ყურადღება სატარიფო და ეკონომიურ მუშაობაზე იყო მიქცეული. ეხლა ჩვენს ამოცანას შეადგენს ამ მუშაობის გაძლიერება, მასსების კლასობრივ თვითშეგნების ამაღლება, ჩვენ მოვახერხებთ ამ ამოცანის განხორციელებას, თუ ამხანაგები ადგილზე გამოიჩენენ ნამდვილ ინიციატივასა და თვითმოქმედებას.

წარმოებითი პროფკავშირები

რკინისგზელთა პროფ კავშირის სამოსწავლო კომიტეტის კულტურული მუშაობა.

რკინისგზელთა პროფკავშირის სამოსწავლო კომიტეტის წარმომადგენელის ამხ. ხუბოვის მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა ს. პ. კ ს. კულტგანყოფილების კოლეგიის სხდომაზე, სჩანს, რომ წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები, რომელნიც აერთებენ 400 კაცამდე, არა სდგანან თავის სიმაღლეზე, სწავლების აქტიური სურვილის უქონლობის გამო. მასწავლებელთა შემადგენლობა არ სდგას თავის სიმაღლეზე. თვით სკოლები საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს, სახალხო განათლების კომისარი კი საამისო თანხას არ იძლევა. თეატრის საქმე გაცილებით კარგად სდგას: ნაძალადევი მუშაობს როგორც მატერიალური ისე სცენიური აზრით კარგად. იდგმება ახალი პიესები, რომლებიც იზიდავენ მაყურებელთ და კარგ შემოსავალსაც იძლევა. 90—200 ათას მანეთს იძლევა დღეში წმინდა შემოსავალს ბუფეტი, რომელიც იჯარით არის გაცემული. ნაძალადევის შენობა კლუბისთვის უვარგისია და მასზე დაშენება აუცილებელია; იმ შემოსავლებით, რომელსაც ნაძალადევი იძლევა, დაწყებულია მუშტაიდის თეატრის შეკეთება. უკანასკნელიც იძლევა თავის მხრივ შემოსავალს. პროფტეხნიკური განათლება კარგად არის დაყენებული. არსებობს კურსები მოძრაობის, წევის, გზის, ტელეგრაფის კავშირის და სხვა. კურსები ბევრმა დაათავა.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის 15 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა სხვათა შორის კითხვები, ნორმების და წარმოებებში ნარდი სამუშაოს განსაზღვრულ რაოდენობის და შტატების შემცირების გამო სალიკვიდაც-ოს შესახებ. პირველ კითხვაზე გამოტანილია დადგენილება, რომლის ძალითაც ნარდი სამუშაო დაშვებულია შრომის დაცვის მიერ ნაჩვენებ ჩარჩოებში. შრომის სანორმო განყოფილებას მინდობილი აქვს მახლობელ 15 დღეში დაათავოს მუშაობა ნარდი სამუშაოს ახალი ხელფასების შესახებ. რაც შეეხება შტატების შემცირების გამო სალიკვიდაციო ფულს, ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა: დათხოვნილი მუშები და მოსამსახურეები მიიღებენ სალიკვიდაციოს უკანასკნელი სამი თვის საშუალო ხელფასის ანგარიშით, შრომის ხელფასის ფულის ნაწილიდან.

საკავშიროსო ორგანიზაციების შტატები.

ს. პ. კ, ს. სამდივნომ 19 დეკემბრის სხდომაზე მოისმინა სხვათა შორის, კითხვა, კავშირთაშორისო ორგანიზაციების შტატების შესახებ. სექციებში მომუშავეთა რიცხვის შესახებ დადგენილია: იმ სექციებს, რომელთაც ჰყავთ ხამას კაცზე მეტი, ნება ეძლევათ იყოლიონ ერთი ტეხნიკური მომუშავე. ცალკე სამაზრო პროფბიუროების შტატები დაწესებულია ამ სახით: ახალქალაქის—ორი პასუხისმგებელი და ორი ტეხნიკური მუშაკი, ფოთის—6 პასუხისმგებელი და 3 ტეხნეკური მუშაკი, თელავის—ორი პასუხისმგებელი და 3 ტეხნიკური მუშაკი, ოზურგეთის—2 პასუხისმგებელი და 3 ტეხნიკური მუშაკი, ზუგდიდის—3 ტეხნიკური და 2 პასუხისმგებელი მუშაკი, ახალციხის—3 ტეხნიკური და პასუხისმგებელი მუშაკი, დუშეთის—2 პასუხისმგებელი და ტეხნიკური მუშაკი, შორაპნისა—3 პასუხისმგებელი და სამი ტეხნიკური მუშაკი, გორის—2 პასუხისმგებელი და 3 ტეხნიკური მუშაკი, ბორჩალოს—2 პასუხისმგებელი და 3 ტეხნიკური მუშაკი, ახალსენაკის—2 პასუხისმგებელი და 3 ტეხნიკური მუშაკი, სიღნაღის—2 პასუხისმგებელი და 3 ტეხნიკური მუშაკი. სამდივნოების შტატები შემდეგნაირია: ჩოხატაური და ლახჩხუთი—თითო ტეხნიკური მუშაკი, ჭიათურის, საჩხერის, ბელაგორის და ჩხარის—თითო ტეხნიკური მუშაკი; ხაშურის, ცხინვალის და სურამის—თითო პასუსისმგებელი მუშაკი; შულავერის—ერთი ტეხნიკური მუშაკი; აბაშის—ერთი პასუხისმგებელი მუშაკი; თიანეთის—ერთი პასუხისმგებელი მუშაკი.

ბორჯომის პროფბიუროს შტატში შედის: 3 ტეხნიკური და 3 პასუხისმგებელი მუშაკი, ქუთაისის პროფბიუროს შტატი: მდივნებთან ერთად 19 კაცი, ბათუმის პროფკავშირთა საბჭოს შტატი ასეთია: პროფკავშირის საბჭოს შტატი 25 კაცი; კავშირებისთვის დამყარებულია შემდეგი შტატები: ა) მედიკო-სანიტარული—3 კაცი, ბ) მკერავების—2 კაცი, გ) საზოგადო კვების—1 კაცი, დ) მიწადმოქმედების სატყეო—2 კაცი, ე) ტრანსლითონის—4 კაცი, ხელოვნების მუშაკთა—2, მეთამბაქოების—1, ვ) სახალხო კავშირის—3, ზ) მკვებავნი 1, საბჭოთა მუშაკნი 4, თ) მეტყავეების 1, ი) მშენებელთა 1. ამრიგათ სულ ბათუმში მოდის 47 კაცი.

პროფმოძრაობის კვირისათვის.

ს. პ. კ ს. დეკემბრის სხდომაზე დაადგინეს ეთხოვოს ს. რ. პ. კ. ს. კავბიუროს გადადოს პროფმოძრაობის კვირა ყრილობების დამთავრებამდე.

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმში.

მელითონეთა კავშირის 20 დეკემბრის სხდომაზე კიურედიანის მოხსენების გამო შრომის დაცვის განყოფილების მუშაობის შესახებ გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილება: განსაკუთრებულ მნიშვნელობის მიზნების გამო, რომლებიც სდგანან შრომის დაცვის განყოფილების წინაშე, განსაკუთრებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, განყოფილების სათავეში იქნეს ცალკე გამგე. რომლითაც დატოვებულ იქნას ამხ. კიურედიანი. ცნობილ იქნას საჭიროდ, ფართოდ გაცნობა შრომის დამცველ კომისიის მიერ სრულიად რუსეთის შრომის დაცვის ყრილობის მუშაობისა, რისთვისაც ახლო მომავალში მოწვეულ იქნას ყველა შრომის დაცვის კომისიები; მოხდეს ენერგიული გამოკვლევა მუშათა სახლებისა სპეციალურათ გამომუშავებულ ანკეტებით.

მუსიკის მნიშვნელობა.

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა 20 დეკემბერს სხდომაზე დაადგინა: აღძრას საკითხი განათლების კომისარიატის წინაშე, მუშათა ბავშვების სამუსიკო სკოლებში უფასოთ სწავლების შესახებ.

მელითონეები დამშეულებს.

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: წინადადება მისცენ კულტ-განყოფილებას დამშეულთა დამხმარე კომისიასთან ერთად უქმეებზე გამართონ საღამოები დამშეულთა სასარგებლოთ.

პოლიტიკური ხელმძღვანელნი.

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა გააუქმოს პოლიტიკური ხელმძღვანელის თანამდებობა წარმოებებში 1922 წლის 1 იანვრიდან.

ტრანს-ლითონის საორგანიზაციო საინსტრუქტორო მუშაობა.

ტრანს-ლითონის კავშირის კრებაზე, სიტნიკოვის მოხსენების მოსმენის შემდეგ საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების მუშაობის და მის მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ, გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) წინადადება მიეცეს საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილებას, საჩქარო წესით მოახდინოს საქარხნო კომიტეტების ახალი არჩევნები, სადაც ჯერ არ მომხდარა ეს. 2 მიექცეს სერიოზული ყურადღება საქარხნო ქომიტეტების მოწყობას. 3) ეთხოვოს ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებას, გადასინჯოს მოკლე დროში დებულება ფაბრიკის კომიტეტების შესახებ. და შეუთანხმოს იგი იმ მიზნებს, რომლებიც ეხლა სდგანან პროფორგანოების წინაშე. 4) დაჩქარდეს ურთიერთ დამოკიდებულების გამომუშავება პროფორგანოების და სამხედრო წარმოების ადმინისტრაციის შორის. 5) ადგილებთან კავშირის გასამტკიცებლათ და მუშაობის გასაძლიერებლათ დაინიშნოს გამგეობის წევრები წარმოებაში, რომელთაც დაევალათ დღე გამოშვებით იარონ წარმოებაში და დაეხმარონ საქარხნო კომიტეტს ყველა მორიგ და სადღეისო საკითხების გადაწყვეტაში. 6) რეგულიარულათ ორ კვირაში ერთხელ მოწვეულ იქნას სარაიონო და თვეში ერთხელ საქალაქო კონფერენცია კავშირის საქარხნო კომიტეტებისა გამომუშავებულ იქნას ანკეტა ყოველ თვიურ ცნობებისა, რომელმაც ყოველ მხრივ უნდა გააშუქოს, როგორც ქარხნის კომიტეტის მუშაობა, აგრეთვე წარმოების მუშაობა, 8) 1922 წ. იანვრიდან კავშირი გადავიდეს საწევრო გადასახადზე თავის არსებობისათვის, რისთვისაც მიიღოს სასწრაფო ზომები საწევრო გადასახადთა შემოტანის მოსაწესრიგებლათ.

ტრანს-ლითონის პრეზიდიუმში.

მელითონეთა და ტრანსპორტის მუშათა გაერთიანებულ კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე ეკონომიურ განყოფილების შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილება: წინადადება მიეცეს კავშირის ეკონომიურ განყოფილებას, გამოიმუშავოს ზომები პროფორგანოებისა და სამეურნეო ორგანოებს შორის კავშირის გასაძლიერებლათ. მელითონეთა განყოფილების მოხსენება ლითონის დამუშავებითი მრეწველობის მდგომარეობის შესახებ მისი სამეურნეო დასაწყისზე გადასვლასთან დაკავშირებით დაადგინეს, მოისმინონ პრეზიდიუმის მომავალ სხდომაზე. შემდეგ მიღებულია დადგენილება რეგულიარულათ თვეში ერთხელ მოეწყოს წარმოებებში მოხსენებები ქარხნის მმართველობებისა წარმოების მუშაობის შესახებ. კავშირის ეკონომიურ განყოფილებას წინადადება მიეცა ყოველ კვირეულათ მოგვაწოდოს ცნობები წარმოებაში წარმოებითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. როგორც წარმოებაში, ისე კავშირში გამოკიდებული უნდა იყოს მაჩვენებელი დიოგრამები და კარტოგრამები, რომლებიც გამოხატავენ ლითონის დამუშავებითი მრეწველობის მდგომარეობას.

წარმოებაში შტატების შემცირების გამო.

ტრანს-ლითონის კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ეკონომიურ განყოფილებას, რათა თვალყური ადევნოს, რომ ყოველივე შემოკლება მუშებისა სწარმოებდეს კავშირის წარმომადგენლის აქტიური მონაწილეობით. პრეზიდიუმმა დაადგინა, სთხოვოს ს. პ. კ. ს. დააჩქაროს უმუშევართა დაზღვევის შესახებ დეკრეტის გამოქვეყნება, ხოლო სამეურნეო ორგანოებს ეთხოვოს ნუ დაითხოვენ შტატების შემცირების გამო მუშათა ფაკულტეტის სტუდენტებს. შემდეგ წინადადება მიეცა ეკონომიურ განყოფილებას მოახდინოს სწორი აღრიცხვა ყველა კვალიფიციურ მუშების.

შემოკლების გამო დათხოვნილ მუშათა კურსები.

ტრანს-ლითონის პრეზიდ. სხდომაზე დაადგინეს წინადადება მისცეს კულტურ განყოფილებას მიაქციოს სერიოზული ყურადღება შტატების შემცირების გამო დათხოვნილ ახალგაზრდა მუშათათვის კურსების მოწყობას, მათი ნაწილი აუცილებლათ უნდა გაიგზავნოს სახელოსნო სასწავლებელში.

საბავშვო ბაღები.

ტრანს-ლითონის პრეზიდიუმმა დაადგინა აწარმოვოს მოლაპარაკება სახალხო განათლების განყოფილებასთან ჩერქეზიშვილის ქუჩაზე საბავშო ბაღის გახსნის შესახებ.

არსენალის კლუბი.

ტრანს-ლითონის პრეზიდიუმმა დაადგინა გადაიტანოს არსენალის კლუბი მუშათა სახლების რაიონში.

კურსები.

ტრანს-ლითონის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კულტურულ განყოფილებას ლითონის და ცენტრალ. ტრან. განყოფილებებთან ერთად გახსნას ავტომობილის მოტორების მექანიკთა კურსები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემჩნეულია, რომ საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებები, როგორც ცენტრში, აგრეთვე სხვა და სხვა კუთხეებში, ადგილობრივი მოქალაქენი და ყველა მასში მაცხოვრებელნი უცხო ქვეშევრდომნი არ ასრულებენ სავსებით და არ იცავენ არსებულ საღერბო გადასახადის წესდებას და საქ. ს. ს. რ. რევკომის მიერ გამოცემულ ა. | წ. 26 ივლისის თარიღით 61 №-ით დეკრეტის იმ ნაწილს, რომელიც ეხება ამავე გადასახადს. ამისათვის აღნიშნულ მოვლენის ასაცილებლად, რომელმაც მიიღო ქრონიკული ხასიათი და თავის შედეგით მოაქვს რესპუბლიკის ხაზინისათვის დიდი ზარალი, ვინაიდან არა სწარმოებს სწორი და ნორმალური დაბეგვრა და შემოსავალი საღერბო გადასახადისა, ფინანსთა კომისარიატი აცხადებს შემდეგს:

რომ ყველა საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულების პასუხისმგებელ თანამშრომლების მოვალეობაში შედის ადევნოს თვალყური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მის ქვემდებარე დაწესებულებების მოქმედებას ამ დარგში, რათა იყოს დაცული მტკიცეთ წესი საღერბო გადასახადისა.

საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელნი, რომელნიც დაუშვებენ საღერბო წესდების დარღვევას, გადიხდიან სრულად იმ თანხას, რომელიც ერგება ხაზინას საღერბო გადასახადის სახით და აგრეთვე პასუხს აგებენ დისციპლინალური წესით.

რესპუბლიკის მოქალაქენი და მასში მაცხოვრებელნი უცხო ქვეშევრდომნი, რომელნიც იქნებიან დამნაშავედ ცნობილნი საღერბო გადასახადის წესდების დარღვევაში, გადიხდიან ფულად ხაზინის სასარგებლოდ იმის მიხედვით, თუ რა ხასიათი ექნება დარღვევას, გაათკეცებულ ანუ გაოცდაკეცებულ საღერბო გადასახადს.

საღერბო ნიშნები (მარკები) იყიდება რესპუბლიკის ყველა ხაზინებში.

ყველა კითხვებზე, რომელიც ეხება საღერბო გადასახადს და თავის ხასიათით იწვევს რაიმე გაუგებრობას ანუ განმარტებას მის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების დროს, უნდა მიმართოთ პირადათ ანუ წერილობით ფინანსთა კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებას.

ფინანსთა სახალხო კომისარი ა. **სვანიძე.**

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**

ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებიდგან.

პირდაპირ გადასახადთა განყოფილება ამით აცხადებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთ უცხოეთის ქვეშევრდომთა და აგრეთვე ანგარიშ ვალდებულ დაწესებულებათა პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა საყურადღებოთ, რომ, თან ხმად ფინანსთა კომისარის ინსტრუქციის მიმდინარე წლის 6 აგვისტოდან, მომავალი წლის 5 იანვარს თავდება ვადა სათანადო საგადასახადო განყოფილებებში 1921 წლის შემოსავლის შესახებ ცნობების შეტანისა, საშემოსავლო გადასახადის გამოსაანგარიშებლად. განცხადების ბლანკების მისაღებად და საჭირო განმარტებებისათვის უნდა მიმართოთ სათანადო საგადასახადო განყოფილების კანცელარიას. ამ მოქალაქობრივი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, დამნაშავენი თანახმად საქართველოს რევკომის № 61 დეკრეტის მე-11 ნაწილის მე-7 მუხლისა, დაისჯებიან დაჯარიმებით არა უმეტეს 500.000 მანეთისა.

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის» შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

„მიწის მუშა“
(სასოფლო საზეთი გამოდის კვირაში ორჯერ)
გამოვიდა № 1

შინაარსი: რედაქციისაგან, მივბაძოთ თფილისისა და ბათუმის მუშებს; ჩვენი გზა; წერილი მიწის მუშას—გუცასი; „სმა ჭამა მეტათ შესარგი“; მიწის მუშას—ლექსი ს. ეულისა; ჩვენი სოფლის მეურნეობა—როგორ უნდა ვებრძოლოთ მოუსავლობას—აგრონ. ვ. კ—კისა. ქრონიკები უცხოეთის და საბჭოთა რესპუბლიკების; კორესპონდენციები სოფლიდან; გაზეთში მოთავსებულია სურათი თბილისის მ. და წ. თ. არმ. საბჭოს თავმჯდომარის, ამხ. ლ. დუმბაძის.

რედაქციის მისამართი: თფილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19.

პარტიული

— ხუთშაბათს, 29 დეკემბერს საღამოს 4 ნახევ. საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. წარმომადგ. საბჭოს ოთახში შესდგება სახ. უნივ. „იაჩეიკის“ მორიგი სხდომა.

კომიაჩეიკის ბიურო.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა იაჩეიკებზე გაწერილ პასუხისმგებელ მუშაკთ **ორი კვირის** განმავლობაში ჩააბარონ რაიკომს გამოკვლევის მასალები.

ტირაჟი 10,000 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.